პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

КОМУНИСТИ

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

პარასკევი, 24 დეკემბერი 1943 წ. № 264 (6889). ფასი 20 კაპ.

სამხედრო ჯემპებით მოვემზადოთ 1944 წლის უხვი მოსავლისათვის

ხალხთა საყვარელი ბელადის და გენიალური მხედართმთავრის ამხანაგ **სტალინის** მოწოდებას საქართველოს კოლმეურნეები, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების მუშები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები პატრიოტული საქმეებით უპასუხებენ. კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა, მტს-ებმა გააძლიერეს მუშაობის ტემპები, რომ საუკეთესო მაჩვენებლებით დაამთავრონ სასოფლო-სამეურნეო წელი. საქართველოს კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა წარმატებით შეასრულეს პურის დამზადების გეგმა და გეგმის გადამეტებით მიჰყიდეს სახელმწიფოს 520.000 ფუთი მარცვლეული. სოციალისტური შეჯიბრება საკოლმეურნეო სოფელში ახალი ძალით გაჩაღდა. თვალსაჩინოდ გაიზარდა შრომის ნაყოფიერება, გამრავლდა ორასოვანთა და სამასოვანთა რიგები. გაცხოველებული ტემპებით მიმდინარეობს ციტრუსოვანთა ნაყოფის კრეფა - დამზადება. საქართველოს სსრ 22 დეკემბრისათვის შეასრულა ციტრუსების დამზადების სახელმწიფო გეგმა 102,7 პროცენტით. სახელმწიფოსათვის ჩაბარებულია 366 მილიონი ციტრუსის ნაყოფი. საქართველოს კოლმეურნე გლეხობა უდიდეს დახმარებას უწევს ფრონტს და არ ზოგავს თავის ძალასა და ენერგიას ვერაგი მტრის — გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა საბოლოო განადგურებისათვის.

ამოცანა ის არის, რომ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების 1943 წლის გეგმა უკლებლივ ყველა კოლმეურნეობამ შეასრულოს და კიდევ უფრო გავაძლიერთ დახმარება გერმანელი ოკუპანტებისაგან განთავისუფლებული რაიონებისადმი.

ზამთარში კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს დიდი მუშაობა მოელით. ზამთარში პასუხსაგებ სამუშაოს წარმოადგენს ციტრუსოვანი ნარგავებისა და ნერგების დაცვა ყინვებისაგან. მთელი მუშაობა ამ მხრივ ისე უნდა წარვმართოთ, როგორც ამას გვიბრძანებს საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის IX პლენუმის გადაწყვეტილება. მთელი სერიოზულობით უნდა მოვეკიდოთ ჩაის პლანტაციებში საზამთრო სამუშაოებს. იმაზე, თუ როგორ იქნება ჩატარებული ეს სამუშაოები, დამოკიდებულია 1944 წელს ჩაის მაღალი მოსავლის მიღების საკითხი.

პარტიამ და მთავრობამ წელს მთელი რიგი დადგენილებანი მიიღეს, რომელთა განუხრელად განხორციელებით უზრუნველყოფთ საქონლის სულადობისა და მისი პროდუქტიულობის შემდგომ ზრდას. მოწინავე საკოლმეურნეო ფერმები კარგად მოემზადნენ ზამთრისათვის, დროულად შეაკეთეს საქონლის სადგომები, საკმაო რაოდენობით მოიმარაგეს და ადგილზე მიზიდეს საკვები. მაგრამ ზოგან ჯერ კიდევ არ არიან მზად ზამთრისათვის. მაგალითად, ზუგდიდის რაიონის სოფ. ზედაეწრის ცხაკაიას სახელობის კოლმეურნეობაში ნელი ტემპებით სწარმოებს საქონლის სადგომების მშენებლობა. სოფელ კიროვის 5 დეკემბრის სახელობის კოლმეურნეობაში საკვები საკმაო რაოდენობით არა აქვთ მომზადებული. საჭიროა სასწრაფოდ აღმოფხვრათ ამ მხრივ არსებული ნაკლოვანებანი და მიეცეს წოდება იმას, რომ ყველა საკოლმეურნეო ფერმამ უზრუნველჰყოს საქონლის სანიმუშოდ გამოზამთრება.

კოლმეურნეობებმა წელს უხვი მოსავალი მიიღეს. კიდევ უფრო გაიზარდა კოლმეურნეობებისა და კოლმეურნეთა შემოსავალი. საჭიროა დროულად და სწორად გავანაწილოთ საკოლმეურნეო შემოსავალი. გულმოდგინედ უნდა მოვეკიდოთ კოლმეურნეობათა 1943 წლის წლიური ანგარიშების, 1944 წლის საწარმოო გეგმების და შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვის დროულად და მაღალხარისხოვნად შედგენას.

1944 წელს მაღალი მოსავლის მიღების საკითხი ახლა წყდება. ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების, საბჭოთა და სამეწარმეო ორგანიზაციების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების ხელმძღვანელების საბრძოლო ამოცანაა ამ თავიდან სამხედრო ტემპებით გააჩაღონ მუშაობა და ყოველმხრივ მომზადებული შეხვდნენ საგაზაფხულო თესვას. მომავალ წელს უხვი მოსავლის მიღების ერთ-ერთი მძლავრი პირობაა მზრალად ხვნის გეგმის მთლიანად შესრულება. საჭიროა დავრაზმოთ მთელი ძალები, რათა მზრალად ხვნის სახელმწიფო გეგმა ყველა კოლმეურნეობამ, ყველა რაიონმა შეასრულოს.

საგაზაფხულო თესვის წარმატებით ჩატარების მნიშვნელოვანი პირობაა ტრაქტორების საზაფხოო რემონტის დროულად და მაღალხარისხოვნად ჩატარება. დუშეთის, ცხაკაიას და სხვა მტს-ებში მაჭისმალურად იყენებენ ზინაგან რესურსებს. აქ ფართოდ არის დანერგილი ტრაქტორების სათადარიგო ნაწილების აღდგენისა და დამზადების პრაქტიკა. მაგრამ ზოგიერთ მტს-ში ჯერ კიდევ ყველა შესაძლებლობა როდი არის გამოყენებული რემონტის დასაჩქარებლად. მაგალითად, წითელქალაქის მტს-ის ხელმძღვანელი მუშაკები არასაკმაოდ იყენებენ ადგილობრივ რესურსებს, რაც შეუწყნარებელია.

საგაზაფხულო თესვისათვის სანიმუშოდ მომზადება იმას ნიშნავს, რომ თავის დროზე გამოვყოთ, დავაზარისხოთ და სრულ კონდიციამდე დავიყვანოთ სათესლე მასალა; რაც შეიძლება მეტი რაოდენობით დავამზადოთ და დროულად გავიტანოთ მინდვრად აღგილობრივი სასუქები, ყოველმხრივ მოვამზადოთ თესვისათვის ცოცხალი გამწევი ძალა, კარგად შევაკეთოთ სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანები და საკოლმეურნეო წვრილი ინვენტარი, ყურადღება მივაქციოთ მასობრივი კვალიფიკაციის საკოლმეურნეო კადრების და მექანიზატორთა კადრების მომზადებას.

სახელმწიფოსათვის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სავალდებულო ჩაბარების გეგმების მთლიანად შესრულება, ყველა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა წარმატებით დამთავრება და 1944 წლის საგაზაფხულო სამუშაოებისათვის საუკეთესოდ მომზადება, — ასეთია ამოცანა.

ამხანაგ **სტალინის** ისტორიულმა მოხსენებამ საკოლმეურნეო სოფელში დიდი პოლიტიკური და საწარმოო აღმავლობა გამოიწვია. კოლმეურნე გლეხობის მგზნებარე პატრიოტიზმი იმის უტყუარი საწინდარია, რომ ეს ამოცანები სასახელოდ იქნება შესრულებული.

საქართველოს კოლმეურნეები კიდევ უფრო გაძლიერებენ ფრონტისადმი დახმარებას და 1944 წელს უზრუნველჰყოფენ უხვი მოსავლის მიღებას, მეცხოველეობის შემდგომ აღმავლობას.

სამხედრო ტემპებით

1944 წლის

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲛ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲪᲘᲢᲠᲣᲡᲝᲕᲐᲜᲗᲐ ᲜᲐᲧᲝᲤᲘᲡ ᲓᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲐ

ციტრუსოვანთა ნაყოფის დამზადების სახელმწიფო გეგმა საქართველოს სს რესპუბლიკაში შესრულებულია 102,7 პროცენტით. 1943 წლის 22 დეკემბრისათვის შეგროვებულია და სახელმწიფოს ჩაბარდა 366 მილიონი ცალი ციტრუსოვანთა ნაყოფი.

ქალ. მოსკოვის მშრომელებს გაეგზავნათ 67 მილიონი ცალი მანდარინი და ლიმონი; ლენინგრადის დამცველებს—17 მილიონი ცალი ნაყოფი. რამდენიმე ათეული მილიონი ციტრუსოვანთა ნაყოფი გაიგზავნა წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის ნაწილებში.

ციტრუსოვანთა ნაყოფის დამზადება და გაგზავნა გრძელდება.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲛ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲪᲘᲢᲠᲣᲡᲝᲕᲐᲜᲗᲐ ᲜᲐᲧᲝᲤᲘᲡ ᲓᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲐ

ᲪᲘᲢᲠᲣᲡᲝᲕᲐᲜᲗᲐ ᲜᲐᲧᲝᲤᲘᲡ ᲓᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲒᲔᲒᲛᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲨᲘ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲣᲚᲘᲐ 102,7 ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲘᲗ. 1943 ᲬᲚᲘᲡ 22 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲠᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲨᲔ�გᲠᲝᲕᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡ ᲩᲐᲑᲐᲠᲓᲐ 366 ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ ᲪᲐᲚᲘ ᲪᲘᲢᲠᲣᲡᲝᲕᲐᲜᲗᲐ ᲜᲐᲧᲝᲤᲘ.

ᲥᲐᲚ. ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲔᲑᲡ �გᲐᲔ�გᲖᲐᲕᲜᲐᲗ 67 ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ ᲪᲐᲚᲘ ᲛᲐᲜᲓᲐᲠᲘᲜᲘ ᲓᲐ ᲚᲘᲛᲝᲜᲘ; ᲚᲔᲜᲘᲜ�გᲠᲐᲓᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲔᲚᲔᲑᲡ—17 ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ ᲪᲐᲚᲘ ᲜᲐᲧᲝᲤᲘ. ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲐᲗᲔᲣᲚᲘ ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ ᲪᲘᲢᲠᲣᲡᲝᲕᲐᲜᲗᲐ ᲜᲐᲧᲝᲤᲘ �გᲐᲘ�გᲖᲐᲕᲜᲐ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲐᲠᲛᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ-ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲝ ᲤᲚᲝᲢᲘᲡ ᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲨᲘ.

ᲪᲘᲢᲠᲣᲡᲝᲕᲐᲜᲗᲐ ᲜᲐᲧᲝᲤᲘᲡ ᲓᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ ᲓᲐ �გᲐ�გᲖᲐᲕᲜᲐ ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲝ ᲑᲘᲣᲠᲝᲡᲐᲒᲐᲜ

22 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲠᲘᲡ ᲝᲞᲔᲠᲐᲪᲘᲣᲚᲘ ᲪᲜᲝᲑᲘᲓᲐᲜ

22 დეკემბრის განმავლობაში ნეველის სამხრეთით ჩვენი ჯარები ბრძოლებით მიიწევდნენ წინ და დაიკავეს 20-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის დასახლებული პუნქტები ᲕᲘᲠᲢᲔᲘᲐ, ᲑᲣᲠᲐᲙᲝᲕᲝ, ᲙᲝᲖᲘᲠᲔᲕᲝ, ᲡᲘᲣᲑᲝᲠᲝᲕᲝᲙᲐ, ᲠᲣᲓᲜᲘᲐ.

ᲪᲚᲝᲑᲘᲜᲘᲡ სამხრეთ-დასავლეთით ჩვენი ჯარები წარმატებით იგერიებდნენ მტრის ქვეითი ჯარისა და ტანკების იერიშებს და დიდი ზარალი მიაყენეს მას, განსაკუთრებით ტანკების მხრივ.

ᲙᲝᲠᲝᲚᲘᲡᲢᲔᲜᲘᲡ რაიონში ჩვენმა ჯარებმა წარმატებით მოიგერიეს მტრის ქვეითი ჯარისა და ტანკების დიდი ძალების ყველა იერიში და ბრძოლების მსვლელობაში გაუმჯობესეს პოზიციები.

ᲙᲘᲠᲝᲕᲝᲒᲠᲐᲓᲘᲡ სამხრეთ-აღმოსავლეთით ჩვენმა ჯარებმა წარმატებით მოიგერიეს მტრის ქვეითი ჯარისა და ტანკების იერიშები და დიდი ზარალი მიაყენეს მას ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ.

ფრონტის სხვა უბნებზე ზვერვა და საარტილერიო-სანაღმმტყორცნო სროლაა.

21 დეკემბრის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 148 ტანკი, მათგან 45 ᲪᲚᲝᲑᲘᲜᲘᲡ სამხრეთ-დასავლეთით და 50 ᲙᲝᲠᲝᲚᲘᲡᲢᲔᲜᲘᲡ რაიონში.

* * *

23 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲠᲘᲡ ᲝᲞᲔᲠᲐᲪᲘᲣᲚᲘ ᲪᲜᲝᲑᲐ

23 დეკემბრის განმავლობაში ᲜᲔᲕᲔᲚᲘᲡ სამხრეთით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ შეტევითს ბრძოლებს, რომელთა მსვლელობაშიც დაიკავეს რამდენიმე დასახლებული პუნქტი.

ᲪᲚᲝᲑᲘᲜᲘᲡ სამხრეთ-დასავლეთით ჩვენი ჯარები იგერიებდნენ მოწინააღმდეგის ქვეითი ჯარისა და ტანკების დიდი ძალების იერიშებს და დიდი ზარალი მიაყენეს მას ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ.

ᲙᲝᲠᲝᲚᲘᲡᲢᲔᲜᲘᲡ რაიონში ჩვენმა ჯარებმა წარმატებით მოიგერიეს მოწინააღმდეგის ქვეითი ჯარისა და ტანკების ყველა იერიში და ბრძოლების მსვლელობაში პოზიციები გაუმჯობესეს.

ფრონტის სხვა უბნებზე ზვერვა და საარტილერიო-სანაღმმტყორცნო სროლაა.

22 დეკემბრის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 128 ტანკი.

* * *

ნეველის სამხრეთით ჩვენი ჯარები შეტევითს ბრძოლებს განაგრძობდნენ. ერთ რაიონში 6 ნაწილის მებრძოლნი წყლის ზღუდეზე გადავიდნენ და უეცარი დარტყმით დაიკავეს ხელსაყრელი პოზიციები. გერმანელებმა, რომლებსაც მოულოდნელად წაადგნენ თავს, სასწრაფოდ დაიბიეს უკან, ამასთან მთელი თავიანთი საჭურველი მიატოვეს. ჩვენი ქვეგანაყოფები დაედევნენ მოწინააღმდეგეს და გაეელიტეს ორ ასეულამდე ჰიტლერელი. სხვა უბანზე 6 შენაერთის ნაწილები ბრძოლებით მიიწევდნენ წინ და რამდენიმე დასახლებული პუნქტი დაიკავეს. დღის განმავლობაში მოსპობილია 400-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. ხელთ ვიგდეთ დავლა, მათ შორის გერმანელთა ტანკი, თვითმავალი ქვემეხი, ორი საარტილერიო ბატარია და სამარი მასალების საწყობი.

* * *

ᲪᲚᲝᲑᲘᲜᲘᲡ სამხრეთ-დასავლეთით ჩვენი ჯარები იგერიებდნენ მოწინააღმდეგის იერიშებს. ერთ უბანზე გერმანელებმა ბრძოლაში ჩააგეს ქვეითი ჯარისა და ტანკების დიდი ძალები. დიდი რიცხობრივი უპირატესობის მიუხედავად, ჰიტლერელებმა წარმატებას ვერ მიაღწიეს. საბჭოთა ნაწილები უკუაგდებდნენ იერიშზე გადმოსულ მოწინააღმდეგეს და დიდი ზარალი მიაყენეს მას. არტილერისტებმა და ჯავშანმტვრეველებმა დაზიანეს და დასწვეს გერმანელთა 47 ტანკი. გარდა ამისა, მოწინააღმდეგის 9 ტანკი აფეთქდა ჩვენი მესანაღმეების მიერ ჩაწყობილ ნაღმებზე. გერმანელებმა მარტო მოკლულთა სახით 1.500-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი დაკარგეს.

* * *

ქალაქ კორსუნ-ტენის რაიონში მოწინააღმდეგემ ტანკებისა და ქვეითი ჯარის ძალებით იერიში მოიტანა 6 შენაერთის პოზიციებზე. საბჭოთა არტილერისტებმა ახლო მანძილზე მოუშვეს გერმანელები და ძლავრი ცეცხლი დაუშინეს. ჰიტლერელებმა ვერ შესძლეს ჩვენი თავდაცვის გარღვევა და სასწრაფოდ დაიხიეს უკან. რამდენიმე საათის შემდეგ გერმანელებმა გადააჯგუფეს ძალები და არაერთხელ მოიტანეს იერიში ჩვენს პოზიციებზე სხვა მიმართულებიდან. მაგრამ ამჯერადაც ყველა მათი იერიში წარმატებით მოიგერიეს ჩვენმა ჯარებმა. სულ დღის განმავლობაში ამ უბანზე დამწვარი და დაზიანებულია გერმანელთა 27 ტანკი და მოსპობილია სულ ცოტა ერთი ბატალიონი ჰიტლერელი.

* * *

ᲑᲐᲠᲐᲜᲝᲕᲘᲩᲘᲡ ოლქში მოქმედმა პარტიზანულმა რაზმმა „პერვომაისკიმ" უკანასკნელი თვის განმავლობაში ლიანდაგიდან გადააგდო მტრის 19 სარკინიგზო ეშელონი. მარცხის შედეგად დამტვრეულია 200-მდე ვაგონი ჯარებიანად და სამხედრო ტვირთიანად. ვაგონების ნამსხვრევებქვეშ დაიღუპა ბევრი ჰიტლერელი. გარდა ამისა, საბჭოთა პატრიოტებმა აფეთქეს გერმანელთა 8 ავტომანქანა და დაანგრიეს კავშირგაბმულობის 23 კილომეტრი სატელეგრაფო-სატელეფონო ხაზი.

* * *

გერმანიის 87-ე ქვეითი დივიზიის 187-ე საარტილერიო პოლკის მე-5 ბატარეის მეთაურმა, კაპიტანმა ერიხ ვიმეტალმა, რომელიც ნეველის სამხრეთით ტყვედ იქნა წამოყვანილი, განაცხადა: „როცა რუსთა ჯარებმა ჩვენი თავდაცვა გაარღვიეს, მე ბრძანება მივიღე უკან დამეხია ახალი უბნისაკენ. იქ დამხვდა დივიზიონის მეთაური, კაპიტანი როსტი. მან სთქვა, ჩვენ გარშემორტყმული ვართო. თუ სად იყო დივიზიის შტაბი, არავინ იცოდა. ოფიცრები ამბობდნენ, დივიზიის მეთაურმა ყველანი ბედის ანაბარა მიატოვა და გაქრაო. ღილით ღილმა რაზმმა, აღალებიანად, სცადა თავი დაეღწია გარემოცვიდან ტყის გზებით. მაგრამ ტყეში ჩვენ შევეხვედით სხვადასხვა პოლკის გაქცეულ ჯარისკაცებს. მათ გვაცნობეს, რომ წინსწრებარე ადგილი უკვე დაკავებული იყო რუსების მიერ. დაიწყო აუწერელი ბახიკა. ჯარისკაცები ჯგუფ-ჯგუფად და ცალ-ცალკე აქეთ-იქით გარბოდნენ. ყველა თავის ანაბარი იყო მიტოვებული და მხოლოდ თავის გადარჩენაზე ფიქრობდა. ჩემთან მყოფმა ლეიტენანტმა დიტრიხმა მითხრა: „უკვე ოთხი წელია ომში ვარ, მაგრამ ასეთი უწესრიგობა და ასეთი დაბნეულობა ჯერ კიდევ არ ვინახავს". ტყეში უნაყოფო ხეტიალის შემდეგ მე, ლეიტენანტთან ერთად, ტყვედ დაგვებედით".

* * *

ქვემოთ ქვეყნდება აქტი იმ მხეცობათა შესახებ, რაც გერმანელმა ფაშისტმა არამზადებმა ჩაიდინეს ზაპოროჟიეს ოლქის სოფელ რაზუმოვკაში: „ოკტობაციის პირველი დღეებიდანვე გერმანელმა ავაზაკებმა დაიწყეს წუეული „ახალი წესრიგის" დამყარება ჩვენს სოფელში. ჰიტლერელებმა დააპატიმრეს და შემდეგ წაიყვანეს 200 მშვიდობიანი მცხოვრები. თუ რა ბედი ეწია დაპატიმრებულთ, დღემდე არაფერი ვიცით. ჰიტლერელმა ჯალათებმა ჩამოახრჩეს კონდრატი სოვა და მისი თოთხმეტი წლის ვაჟი და კარპ კოვალი, დახვრიტეს ფედოტ კოვალი, ტიმოთე ულიანჩენკო და ბევრი სხვა ჩვენი სოფლელი. გერმანელმა ყაჩაღებმა სულ მთლად გაძარცვეს ზოსახლეობა. უკანდახევის წინ ჰიტლერელებმა დაანგრიეს საავადმყოფო და დასწვეს ბევრი საკოლმეურნეო ნაგებობა".

აქტს ხელს აწერენ სოფელ რაზუმოვკის მცხოვრებნი: ეფროსინე კოვალი, ნიკოლოზ კოვალი, მარიამ შევჩენკო, ანა კოსტიუჩენკო.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲒᲛᲘᲠᲘ Ბ. Ბ. ᲑᲝᲪᲘᲠᲘᲫᲔ

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲨᲘ ᲛᲧᲝᲤᲘ 1-ᲚᲘ ᲪᲐᲚᲙᲔᲣᲚᲘ ᲡᲣᲗᲝᲠᲝᲕᲘᲡ ᲛᲔ-2 ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲝᲠᲓᲔᲜᲝᲡᲐᲜᲘ ᲩᲮᲝᲡᲚᲝᲕᲐᲙᲗᲐ ᲑᲠᲘᲒᲐᲓᲘᲡ ᲯᲐᲠᲘᲡᲙᲐᲪᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲝᲤᲘᲪᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲓᲝᲗᲔᲑᲐ ᲝᲠᲓᲔᲜᲔᲑᲘᲗᲘᲗ

გერმანელ დამპყრობლებთან ბრძოლას ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან მამაცობისა და ვაჟკაცობის გამოჩენისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ა. წ. 21 დეკემბრის ბრძანებულებით დაჯილდოებულია ჩეხოსლოვაკია 1-ლი ცალკეული სუეროვის მე-2 ხარისხის ორდენოსანი ბრიგადის მეომართა ჯგუფი:

ლენინის ორდენით დაჯილდოებული არიან პოდპორუჩიკი ს. ვ. პეტრასი, ნადპორუჩიკი ვ. ბ. ივანკო;

წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებულია 4 კაცი;

სამამულო ომის 1-ლი ხარისხის ორდენით 6 კაცი;

სამამულო ომის მე-2 ხარისხის ორდენით — 16 კაცი;

წითელი ვარსკვლავის ორდენით — 27 კაცი;

დიდების მე-3 ხარისხის ორდენით — 16 კაცი;

მედლით „მამაცობისათვის" — 31 კაცი;

მედლით „საბრძოლო დამსახურებისათვის" — 36 კაცი. (საკდესი).

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲝᲠᲓᲔᲜᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲓᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲪᲔᲛᲐ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲨᲘ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲘ ᲡᲣᲗᲝᲠᲝᲕᲘᲡ II ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲝᲠᲓᲔᲜᲝᲡᲐᲜᲘ ᲩᲮᲝᲡᲚᲝᲕᲐᲙᲗᲐ 1-ᲚᲘ ᲪᲐᲚᲙᲔᲣᲚᲘ ᲑᲠᲘᲒᲐᲓᲘᲡ ᲝᲤᲘᲪᲠᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲯᲐᲠᲘᲡᲙᲐᲪᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

23 დეკემბერს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. ნ. ი. ნატალევიჩმა კრემლში სსრ კავშირის ორდენები და მედლები გადასცა სსრ კავშირში მოქმედი ჩეხოსლოვაკთა II ხარისხის ორდენოსანი ჩეხოსლოვაკთა 1-ლი ცალკეული ბრიგადის ოფიცრებსა და ჯარისკაცებს.

დაჯილდოებულთა სახელით გამოვიდა ბრიგადის გენერალი გ. ი. პიკა. მან უაღრესად მხურვალე მადლობა გამოსთქვა განსაკუთრებული ნახევარკუნძულისათვის, რომელიც აღმოჩინეს ჩეხოსლოვაკ ოფიცრებსა და ჯარისკაცებს მაღალი ჯილდოების მინიჭებით.

— საბჭოთა ფრონტზე ჩეხოსლოვაკთა 1-ლი ცალკეული ბრიგადის საბრძოლო მოქმედების მაღალი შეფასება, რაც გამოიხატა ესოდენ პაღალ საბრძოლო წარჩინებათა მინიჭებით, ჩვენთვის არა მარტო სტიმული იქნება ბრძოლის ველზე მთელი ჩვენი ძალების შემდგომი ახალი დაძაბვისათვის, არამედ ავრეთვე მძლავრი მორალური დახმარება იქნება მთელი ჩეხოსლოვაკი ხალხისათვის სამშობლოში მის ურყევ გამკლავებასა და გადამწყვეტ აშკარა ბრძოლაში ჰიტლერელ დამპრობელთა წინააღმდეგ. და მე მტკიცედ მწამს, რომ მთელი ჩეხოსლოვაკი ხალხი, საბჭოთა და ჩვენი გმირების მაგალითისამებრ, მონაწილეობას მიიღებს მძარცველური ჰიტლერული არმიების საბოლოო განადგურებაში.

ჩვენ, საბჭოთა კავშირში მყოფ ჩეხოსლოვაკ მეომრებს, კარგად გვაქვს შეგნებული, რომ ჩვენ მხოლოდ მცირე ნაწილაკი ვართ უფლების ნამდვილ გიგანტურ ბრძოლაში ჰიტლერული ძალადობის წინააღმდეგ. მაგრამ ვბედავ დაგარწმუნოთ, რომ ჩვენი სურვილია მთელი ჩვენი ძალები მოვანდომოთ ამ ბრძოლას საბრძოლველობის აღდგენისათვის და ამით ჩეხოსლოვაკი ხალხის განთავისუფლებისთვისაც. ჩვენ არ დავზოგავთ არც სისხლსა და არც თვით სიცოცხლეს, რადგან დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი ბრძოლით ჩვენ ვსპობთ არა მარტო საზიზღარ მზეც ჰიტლერელ დამპყრობლებს, რომ გამარჯვებით კვლავ მივაღწევთ თავისუფლებას, არამედ რომ ჩვენ ჩვენი შრომით ვამზადებთ ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის უკეთეს და უშიშარ მომავალს, რომ ვაშენებთ ჩეხოსლოვაკი და საბჭოთა ხალხების ერთგული მეგობრობის მძლავრ, მტკიცე შენობას.

ძმობის ამ შენობის ღრმა და ხანგრძლივი საფუძველია ის, რომ ჩვენ ვეკუთვნით სლავთა ოჯახს, მთავარი საყრდენი ბოძია ეს-ეს არის დადებული მოკავშირეობის ხელშეკრულება, აგურები — ჩვენი ხალხები და მათი შემდეგებელი ცემენტი — ჩვენი მეომრების სისხლი მამაც საბჭოთა მეომრების მიერ ბრძოლის ველზე დაღვრილ სისხლთან ერთად.

ჩვენ მადლობელი ვართ ძლევამოსილი წითელი არმიის უმაღლესი მთავარსარდლის, საბჭოთა კავშირის მარშლის ი. ბ. სტალინისა იმისათვის, რომ მან ჩეხოსლოვაკთა 1-ლ ცალკეულ ბრიგადას მიანდო იბრძოლოს გმირი წითელი არმიის მხარდამხარ და ამით შესაძლებლობა მოგვცა ვიყოთ მის გამარჯვებათა მბრწყინავი დიდების მონაწილენი.

ჩვენ მიერ მიღებული მაღალი საბჭოთა ორდენები, — ამთავრებს თავის გამოსვლას გენერალი გ. ი. პიკა,—იქნება არა მარტო ჩვენი მხედრული სიამაყე, არამედ იქნება ავრეთვე მთელი ჩეხოსლოვაკი ხალხის სიამაყეც!

დამსწრენი გენერლის უკანასკნელ სიტყვებს ერთსულოვანი ტაშით ჰფარავენ.

ამხ. ნ. ი. ნატალევიჩმა მოკლე სიტყვით მიმართა დაჯილდოებულთ.

— სსრ კავშირში მოქმედი სუეროვის II ხარისხის ორდენოსანი ჩეხოსლოვაკთა 1-ლი ცალკეული ბრიგადის ჯარისკაცები და ოფიცრები წითელი არმიის ნაწილებთან ხელიხელჩაკიდებულნი გმირულად იბრძვიან ჩვენი საერო მტრის—ყაჩაღური გერმანული ფაშიზმის წინააღმდეგ და ამით ათასლეტენ ორივე ჩვენი ხალხისათვის მტერზე გამარჯვების სანატრელ ჟამს.

საბჭოთა კავშირსა და ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკას შორის დადებულ მეგობრობის ხელშეკრულებას დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც ახლა, ომის დროს,—ჩვენი საერთო მტრის რაც შეიძლება მალე განადგურების საქმისათვის, ისე ომის შემდეგაც — ჩვენი ხალხების ეკონომიური და კულტურული აყვავების საქმისათვის.

წითელი არმიის ნაწილებთან ერთად გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ველზე სუეროვის ორდენოსანმა ჩეხოსლოვაკთა 1-ლმა ცალკეულმა ბრიგადამ თავის ჯარისკაცთა და ოფიცერთა სისხლით შეადუღა ჩვენი ხალხების მეგობრობა დიდი ხნით.

ჩვენი მთავრობა, წითელი არმიის უმაღლესი სარდლობა მაღალ შეფასებას აძლევენ ჩეხოსლოვაკიის სახელოვანი ბრიგადის ჯარისკაცებისა და ოფიცრების გმირობასა და მამაცობას გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლებში. ბრიგადის მეომრებს შორის ყველაზე ღირსეულნი დაჯილდოებული არიან საბჭოთა კავშირის ორდენებით.

მოგილოცავთ მაღალ ჯილდოს და გისურვებთ ახალ საბრძოლო წარმატებებს გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის საერთო ფრონტზე. (საკდესი).

ᲛᲗᲔᲚᲘ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲔᲑᲘ ᲔᲠᲗᲘᲡᲚᲝᲕᲜᲐᲓ ᲘᲒᲜᲝᲜᲔᲑᲔᲜ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲤᲐᲨᲘᲡᲢᲘ ᲯᲐᲚᲐᲗᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲒᲐᲛᲝᲬᲕᲘᲚ ᲒᲐᲜᲐᲩᲔᲜᲡ

ვლადივოსტოკიდან ფრონტის ზოლამდე დასავლეთში, კოროსტენის რაიონში, აფშერონის ნახევარკუნძულიდან პოლარულ მზამთრეთა ჩრდილოეთის სადგურებამდე, ჩვენი ქვეყნის ყველა ქალაქსა და სოფელში იმართება მშრომელთა მიტინგები და კრებები, რომლებზედაც საბჭოთა ადამიანები ერთსულოვნად იწონებენ სასამართლოს მიერ

ბ-ნ ედ. ბენეშის გამოსვლა პრეს-კონფერენციაზე

მოსკოვში მყოფმა ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტმა დოქტორმა ედუარდ ბენეშმა 22 დეკემბერს მიიღო საბჭოთა და უცხოეთის პრესის წარმომადგენლები. პრესის წარმომადგენლებთან გაკეთებულ განცხადებაში ბ-ნმა ბენეშმა სთქვა:

„სსრ კავშირში ჩემს ჩამოსვლას მე ვუყურებ როგორც საერთო თვალსაზრისით, ისე ჩეხოსლოვაკიის თვალსაზრისით, როგორც ჩეხოსლოვაკიის დამოუკიდებლობისათვის ჩვენი ბრძოლის თავისებურ დაგვირგვინებას. ამა წლის გაზაფხულზე ამავე მიზნით მე ვიყავი ა. შ. შტატებში“.

„მე განსაკუთრებით კმაყოფილი ვარ იმით, რომ ჩვენი მოლაპარაკება იმ ეტაპზე მიმდინარეობდა, როცა მოკავშირეთა შორის ერთიანობამ და თანამშრომლობამ ისეთ დონეს მიაღწიეს, რომლის დროსაც უზრუნველყოფილია გამარჯვება სწორედ ამ თანამშრომლობისა და ერთიანობის მეოხებით.

ჩეხოსლოვაკიის მთავრობის მთელი პოლიტიკა და ის პოლიტიკა, რომელსაც პირადად მე 20 წლის მანძილზე ვატარებდი, იმ დებულებაზე იყო დაფუძნებული, რომ მშვიდობიანობა ევროპაში შეუძლებელია, თუ არ იქნა დიდი სახელმწიფოების თანამშრომლობა საბჭოთა კავშირთან. მე ფრიად კმაყოფილი ვარ იმით, რომ მოსკოვს ჩამოვედი ორი დიდი მოვლენის—მოსკოვისა და თეირანის კონფერენციების შემდეგ, რომლებზედაც მიღწეულ იქნა მოკავშირეთა შორის ისეთი ერთიანობა, რომელიც ამართლებს მთელ იმ პოლიტიკას, რასაც მე 20 წლის მანძილზე ვატარებდი, და წარმოადგენს გამარჯვებისა და მუდმივი და მტკიცე მშვიდობიანობის გარანტიას და ხელს შეგვიწყობს თავიდან ავიცილოთ მსოფლიო ხოცვა-ყლეტის განმეორება.

მე მოსკოვში ვიყავი 1935 წელს, საბჭოთა კავშირსა და ჩეხოსლოვაკიას შორის დადებული პირველი ხელშეკრულების რატიფიკაციის შემდეგ. ახლა კვლავ აქა ვარ. სავსებით ბუნებრივია, რომ მსურს შევადარო ყველაფერი, რაც მაშინ ვნახე, იმას, რაც ახლა ვნოვე აქ რვა წლის წინათ მე აქ მიმიღეს როგორც მეგობარი და აქედან საუკეთესო შთაბეჭდილებით წავედი. მე დავრწმუნდი იმაში, რომ საბჭოთა კავშირი ძლიერი და მძლავრი სახელმწიფოა. მე გავეცანი წითელ არმიას და საბჭოთა მრეწველობას. ჩვენ უკვე მაშინ ვიყავით მოკავშირენი; მე დარწმუნებული ვიყავი იმაში, რომ ჰიტლერი ომისათვის ემზადებოდა, რაშიც მე სულ მცირედი ეჭვიც კი არ შემდიოდა, და რომ საბჭოთა კავშირი კარგად იყო მომზადებული აგრესიის წინააღმდეგ თავდაცვისათვის. დაიწყო ომი, და მთელმა მსოფლიომ დაინახა, თუ რა ბევრი რამ გააკეთა საბჭოთა კავშირმა ამ ომში, თუ რა დამარცხებები აგება მან გერმანიის არმიას და ამით საფუძველი ჩაუყარა გერმანიის სამხედრო მანქანის მოსპობასა და სრულ კატასტროფას. რვა წლის წინათ ამ მე ძალიან ბედნიერად მამიღეს, და შემიძლია ვთქვა, რომ ახლა ჩვენი მეგობრული ურთიერთობა მნიშვნელოვნად განმტკიცდა“.

ბ-ნმა ბენეშმა შემდეგ სთქვა:

„მე მეტისმეტად კმაყოფილი ვარ ჩემი ჩამოსვლით, იმ მიღებით, რაც მე გამიწიეს, და მოლაპარაკებით, რომელსაც მე საბჭოთა ხელმძღვანელებთან ვაწარმოებდი.

აქ მე ძალიან გულთბილად მიმიღო საბჭოთა ხალხმა—ყველა იმან, ვისაც ვხვდებოდი თეატრში, ფაბრიკებში, ქუჩებში და ყველგან. უაღრესად სასიამოვნოა ის გარემოება, რომ საბჭოთა ხალხმა ძალიან ბევრი რამ იცის ჩეხოსლოვაკიის შესახებ და რომ იგი ღრმად თანაუგრძობს მას. საბჭოთა ხალხმა იცის, რომ ჩვენ ყოველთვის ვაწარმოებდით ბრძოლას ფაშიზმის წინააღმდეგ და ყოველთვის მეგობრულად ვეპყრობოდით საბჭოთა კავშირს. ყოველივე ეს ჩვენ უაღრესად გვამხნევებს ჩვენი ისტორიის ამ ტრაგიკულ მომენტში და ბევრ კარგ რამეს მოასწავებს ჩეხოსლოვაკიისათვის ომისშემდგომ პოლიტიკაშიც.

ჩემი მხრით მსურს დაგარწმუნოთ, რომ ჩეხოსლოვაკიის ხალხი აღტაცებით ეპყრობა წითელ არმიას და საბჭოთა ხალხს“.

„ჩვენ, ჩეხოსლოვაკები, ვცხოვრობთ აღმოსავლეთსა და დასავლეთს შუა და საბჭოთა კავშირის მეზობლები ვართ. არის სხვა გარემოებანიც, რომლებიც ჩვენ გვაკავშირებენ საბჭოთა კავშირში მცხოვრებ ხალხებთან. დარწმუნებული ვარ, რომ მომავალში ეს თანამშრომლობა აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის კიდევ უფრო მტკიცე იქნება, ვიდრე წინათ, როცა იგი დროდადრო დიდ სიძნელეებს ხვდებოდა“.

„რაც შეეხება ჩემი ჩამოსვლის პოლიტიკურ მხარეს, — განაგრძო დ-რმა ბენეშმა,—თქვენ ყველანი უკვე იცნობთ საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის ხელშეკრულების ტექსტს. იგი წარმოადგენს რგოლს უშიშროების საერთო სისტემაში და ოდნავადაც არ უქმნის სიძნელეებს იმ საერთო სისტემას, რომელიც აგებული იქნება ომის შემდეგ საბჭოთა კავშირის, ინგლისისა და შეერთებული შტატების მიერ. ამ ხელშეკრულებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სამი სლავი ხალხისათვის—პოლონელებისა, ჩეხოსლოვაკებისა და უკრაინელებისათვის, რომლებიც მთელ რიგ საუკუნეთა მანძილზე გერმანიის იმპერიალიზმის მხრივ ექაჩარნ განიცდიან. ჩეხოსლოვაკია გეოგრაფიული მხრივ განსაკუთრებით საშიშ მდგომარეობაშია. ჩვენ პირველებს გვესხმიან თავს და უკანასკნელებს გვნიჭებენ განთავისუფლება. ჩვენ ომში ერთი წლით მეტ ხანს ვმონაწილეობთ, ვიდრე სხვა სახელმწიფოები, და, ალბათ, დანარჩენებზე უფრო გვიან დავამთავრებთ ომს. ამიტომ ჩვენი სისტემა უშიშროებისა განსაკუთრებით მტკიცე და შორსგამიზნული უნდა იყოს. ამ თვალსაზრისით ჩვენ ესოდენ ძლიერად ვართ დაინტერესებული უშიშროების მომავალი სისტემით. შემთხვევითი როდია, რომ მე ყოველგზის მუდამ მოვითხოვდი ისეთი სისტემის შექმნას და რომ ამავე საკითხს ვიხილავდი პრეზიდენტ რუზველტთან ა. შ. შტატებში ჩემი უკანასკნელი ჩასვლის დროს. ჩვენ ვიხილავდით მომავალში ახალი აგრესიის თავიდან აცილების ზომებს. ჩვენი მოლაპარაკება მოსკოვში იმავე სულისკვეთებით, იმავე ხაზით მიმდინარეობდა, როგორითაც მიმდინარეობდა მოლაპარაკება დიდ მოკავშირე სახელმწიფოთა შორის მოსკოვსა და თეირანში. ჩვენ გულწრფელად გვწამს, რომ ჩვენ მოვახერხებთ უზრუნველვყოთ მომავალი მშვიდობიანობა, და დარწმუნებული ვართ აგრეთვე იმაში, რომ შევძლებთ ამ საფუძველზე პოლონეთიც მოვიხიდოთ ჩვენს შეთანხმებაში. როგორც საბჭოთა კავშირი, ისე ჩეხოსლოვაკია დაინტერესებული არიან, იმით, რომ პოლონეთი ძლიერი და დამოუკიდებელი იყოს, რომ იგი დემოკრატიული იყოს და სავსებით თანამშრომლობდეს ჩვენთან.

დასასრულ მსურს ერთხელ კიდევ აღვნიშნო ხაზგასმით, რომ აქედან მივდივარ გამარჯვების სრული რწმენით“.

ამ განცხადების შემდეგ დოქტორმა ბენეშმა უპასუხა უცხოელი კორესპონდენტების ზოგიერთ კითხვას.

კითხვა: განხილული იყო თუ არა თქვენ მიერ საბჭოთა ხელმძღვანელებთან ჩეხოსლოვაკიის მომავალი საზღვრების საკითხი?

პასუხი: ეს საკითხი ჩვენ მიერ მეტად ზოგადი ფორმით იყო განხილული, რადგან საზღვრების საკითხს მომავალი საზავო კონფერენცია გადასწყვეტს. ჩვენ მიერ ამ საკითხის განხილვი იმაზე იყო დაფუძნებული, რომ საბჭოთა კავშირი არასოდეს არა სცნობდა მიუნხენს და ყოველსავე იმას, რაც ჩეხოსლოვაკიას გადახდა მიუნხენის შემდეგ. ამიტომ მიუნხენის საკითხი ვერავითარ როლს ვერ ითამაშებს საბჭოთა კავშირსა და ჩვენს შორის ურთიერთობაში, მაშინ როცა ჩვენ მოგვიხდა ამ საკითხის განხილვა ინგლისთან. ამას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს იმასთან დაკავშირებით, რომ მიუნხენი რამდენადმე მიმართული იყო საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ჩემი თვალსაზრისი ამ საკითხში შემდეგია: მიუნხენის შეთანხმება იმდენად არასამართლიანი იყო, რომ ჩვენი ტერიტორია მთლიანად უნდა იქნას აღდგენილი.

კითხვა: განიხილეთ თუ არა თქვენ საკითხი სსრ კავშირსა და ჩეხოსლოვაკიას შორის უშუალო მეზობლობის დამყარებისა ომის შემდეგ?

პასუხი: ეს საკითხი სხვა ერებსაც ეხება, და ამიტომ თავს შევიკავებ ყოველგვარ განცხადებაზე ამის გამო.

გრიმანიის მიმართ ჩვენ მთლიანად მივიღებთ იმავე პოლიტიკას, რომელსაც მოკავშირე დიდი სახელმწიფოები მიიღებენ. ამ საკითხში ჩვენი და მათი შეხედულებანი ერთმანეთისაგან არ განსხვავდებიან.

კითხვა: ითვალისწინებთ თუ არა თქვენ ჯაკეთოთ რაიმე საბჭოთა კავშირსა და პოლონეთს შორის ურთიერთობის აღსადგენად?

პასუხი: ეს მეტად საფრთხილო საქმეა და, თუმცა მე საუცხოო ურთიერთობა მქვეს ზოგიერთ ჩემს მეგობართან პოლონეთში, მე განზრახვა არა მაქვს ჩავერიო ამ ორი სახელმწიფოს ურთიერთობის საკითხში.

ვფიქრობ, რომ ჯერ კიდევ ომის დამთავრებამდე ბევრი მეტად მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდება და რომ ადგილი ექნება შემდგომ დაახლოებას ჩვენსა, პოლონელებსა და საბჭოთა კავშირს შორის. ეს ახლო მომავლის საკითხია, მაგრამ ამ საკითხზე გადაწყვეტილების თავზე მოხვევა არ შეიძლება. ამაში მდგომარეობს ჩვენი პოლიტიკის ხაზი მომავლისათვის.

ახალი წარმატებებით შევხვდეთ ახალ სამეურნეო წელს

1 მილიონი მანეთის პროდუქცია

თბილისის 26 კომისრის სახელობის ქარხნის მუშათა და ინჟინერ-ტექნიკოსთა კოლექტივი ემზადება 1944 წლის საწარმოო დავალებათა შესრულების უზრუნველსაყოფად. ამ მზადებას სათავეში ჩაუდგა საქარხნო პარტიული ორგანიზაცია (პარტკომის მდივანი ამხ. გ. დაშნიკი). ამჟამად ქარხნის საამქროებში ეწყობა საწარმოო თათბირები, სადაც სწავლობენ 1943 წლის მუშაობის გამოცდილებას, სახავენ ღონისძიებებს იმ დაბრკოლებათა თავიდან ასაცილებლად, რომლებიც წელს ქარხნის კოლექტივს ხელს უშლიდა საწარმოო დავალებათა შესრულებაში და აგროვებენ ახალ რაციონალიზატორულ წინადადებებს მომავალი წლის საწარმოო დავალებათა შესრულების უზრუნველსაყოფად.

ახალ წელს ქარხნის კოლექტივი ახალი საწარმოო გამარჯვებებით ხვდება. სამი დიდი მოკავშირე სახელმწიფოს — საბჭოთა კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის ხელმძღვანელთა თეირანის კონფერენციის ისტორიული დეკლარაციის საპასუხოდ ქარხნის მუშებმა და ინჟინერ-ტექნიკოსებმა იკისრეს წლის ბოლომდე 1 მილიონ მანეთად ღირებული პროდუქციის გამოშვება გეგმის გადამეტებით. ნაკისრი ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად დამუშავებულ იქნა ყოველსაათობრივი გრაფიკი თითოეული საამქროსა და თითოეული ბრიგადისთვის. 20 დეკემბრისათვის ჩატარებულმა შემოწმებამ დაგვანახვა, რომ ქარხნის კოლექტივი წარმატებით ასრულებს ამ ვალდებულებას. ზოგმა ბრიგადამ ნაკისრი ვალდებულება უკვე შეასრულა.

გეგმის გადამეტებით პროდუქციის გამოშვებაში დაწინაურდა ათასოვანი ი. მირზოევი, რომელიც დეკემბრის განმავლობაში ყოველდღიურ საწარმოო დავალებებს სისტემატურად 1.138-1.140 პროცენტით ასრულებს. ამხ. ი. მირზოევმა 20 დეკემბრამდე დაამზადა მათთვის მინდობილ დეტალთა ისეთი რაოდენობა, რაც ქარხნის სრული დატვირთვით მუშაობას საკმარისი უზრუნველყოფს იანვრის განმავლობაში.

ახალი წლიდან ქარხნის ჩამომსხმელ საამქროში იმუშავებს ათასოვანთა ფრონტული ბრიგადა, რომელშიც შევლენ ამხ. ი. მირზოევი, გ. არამიანი და ბ. მელაძე. ბრიგადა მიზნად ისახავს ისეთი რაოდენობით დაამზადოს დეტალები, რომ მომავალი წლის განმავლობაში ამ დეტალებით ქარხანა სავსებით იქნეს უზრუნველყოფილი.

დ. ამირანიძე

კონსერვები გეგმის გადამეტებით

ზუგდიდი (ტელეგრაფით). ზუგდიდის საკონსერვო ქარხნის კოლექტივმა, რომელიც აღდგენილია დიდი ბელადის, თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის ამხანაგ ი. ბ. სტალინის 1943 წლის 6 ნოემბრის ისტორიული მოხსენებით, დეკემბერში კიდევ უფრო ნაყოფიერად იმუშავა. კონსერვების გამოშვების წლიური საწარმოო დავალება ქარხნის კოლექტივმა გადაჭარბებით შეასრულა 15 დეკემბრისათვის.

ქარხნის კოლექტივმა გადასწყვიტა წლის ბოლომდე ქვეყანას და წითელ არმიას მისცეს 20 პროცენტით იმაზე მეტი კონსერვი, რაც დეკემბრის გეგმით არის ათვალისწინებული.

ზუგდიდის საკონსერვო ქარხნის დირექტორი დარასელია

სამტრედია („კომუნისტის“ საკ. კორ.). სამტრედიის საკონსერვო კომბინატის (დირექტორი ამხ. ლ. ბერეიძე) კოლექტივი ყოველთვიურ საწარმოო გეგმებს დიდი გადაჭარბებით ასრულებს. ნოემბერში კომბინატმა გეგმის ზევით 130.000 ქილა ხილისა და 26.000 ხორცის კონსერვი გამოუშვა. კომბინატელები კარგად მუშაობენ დეკემბერშიც. მათ დეკემბრის ორი დეკადის გეგმა დიდი გადაჭარბებით შეასრულეს, გეგმის ზევით დამზადეს და გამოუშვეს 20.000 ქილა კონსერვი.

კომბინატის კოლექტივმა იკისრა ახალი წლისათვის, დეკემბერში გეგმის ზევით გამოუშვას 300.000 ქილა კონსერვი.

ბ. სიხარულიძე

ომიანობის დროის სგფახანოველები

ქუთაისი („კომუნისტის“ საკ. კორ.). საქართველოს მეორე ინდუსტრიული ცენტრის — ქალაქ ქუთაისის მრეწველობა დიდი სამამულო ომის დღეებში წარმატებით მუშაობს. ბევრმა საწარმომ წლიური დავალებები ვადაზე ადრე და გადაჭარბებით გაანაღდა. ს. შ. კიროვის სახელობის სამკერვალო ფაბრიკა, მაუდის ფაბრიკა, ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატი, ჯრის, მინერალური საღებავებისა და საწოლების ქარხნები, საშენ მასალათა წარმოება, საკონდიტრო პროდუქტებისა და ფართო მოხმარების საქონლის დამამზადებელი საწარმოები დიდი წარმატებით ასრულებენ დავალებებს. მიქიანის სახელობის საკონსერვო ქარხანა დეკემბერში ყოველდღიურ დავალებებს 130-140 პროცენტით ანაღდებს. ქარხნის კოლექტივი იბრძვის იმისათვის, რათა წლიური საწარმოო პროგრამა 25 დეკემბრისათვის შეასრულოს. მაღალი მაჩვენებლები მოიპოვეს აგრეთვე საწარმოო არტელებმა.

ქუთაისის საწარმოებში ათასობით მოწინავე ადამიანები, სახელოვანი სტახანოველები მუშაობენ. აი ზოგი მათგანი:

ელენე მორჩაძე ს. შ. კიროვის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის ძველი მუშაა. თავისი საქმის სიუცხოო მცოდნე. იგი კონტროლიორად მუშაობს და მომსახურებას უწევს ორ ბრიგადას. ყოველდღიურ დავალებებს 200 პროცენტით ასრულებს. ამხ. ე. მორჩაძე დაჯილდოებულია მედლით „შრომითი მამაცობისათვის“.

ვერა ზვიადაძე ამავე ფაბრიკის ერთ-ერთი მოწინავე ბრიგადირია. მას 12 წლის საწარმოო გამოცდილება აქვს. უკანასკნელი 8 წლის განმავლობაში ყოველთვის მოწინავეთა რიგებში დგას. იგი ფრონტელის ცოლია. საწარმოში თავდადებულად შრომობს, რაზმავს ბრიგადის წევრებს საწარმოო დავალებების მაღალხარისხოვნად შესრულებისათვის.

მარიამ ზოლოტუხინა, საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების ფრიადოსანი, მუშაობს ოთხ საქოვ დაზგაზე. გეგმის გადამეტებით ამზადებს ძვირფასი აბრეშუმის ქსოვილებს.

ნატალია გოლოდნიკოვა და **თამარ მესხი** მაუდის ფაბრიკის ტრბილი სტახანოველები არიან. გოლოდნიკოვა მრთველია, ხოლო მესხი ორდენსანი მქსოველი. გეგმებს ორივე დიდი გადაჭარბებით ასრულებს.

მუშაობის მისაბაძ მაგალითებს იძლევიან ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატის მუშები **შურა ვარდანიძე** და **მარიამ მიტროხინა**; საკონსერვო ქარხნის მუშა-ქალები **პაშა ტროცენკო** და **ზინა გრიგოლაშვილი**; არტელ „მეზუბას“ ოთხასიანი — მეტყავე ამხ. **ვახილ სკოკოდუბოვი**, ამავე არტელის სამკერვალო საამქროს სამასიანი **ემელიანე გამოლია** და მრავალი სხვა.

ნ. კოვზირიძე

ქუთაისის საწარმოთა მოწინავე სტახანოველები: ზევით თ. მესხი, ვ. ზვიადაძე, ე. მორჩაძე, შ. ვარდანიძე. ქვევით: ე. გამოლია, ზ. გრიგოლაშვილი, მ. მიტროხინა, ვ. სკოკოდუბოვი.

ფოტო პ. ლუცენკოსი

თბილისის რკინიგზის სამგზავრო სადგურმა ზამთრისთვის მზადყოფნის პასპორტი მიიღო

თბილისის რკინიგზის სამგზავრო სადგურის კოლექტივი, რომელსაც ლ. პ. ბერიას სახელობის ამიერ-კავკასიის რკინიგზის სამგზავრო სადგურებს შორის უკანასკნელი სამი თვის განმავლობაში პირველი ადგილი უკავია, წარმატებით მუშაობს დეკემბერშიც. სადგურის მუშა-მოსამსახურეებმა და ინჟინერ-ტექნიკოსებმა დიდი მუშაობა ჩაატარეს ზამთრის სეზონისათვის მოსამზადებლად. ძირითადად სამუშაოდან თავისუფალ საათებში სადგურის მუშა-მოსამსახურეებმა შეაკეთეს მეცხრეთა სადგომები, ხელბარგის შესანახი კამერები, შენობათა სახურავები, გამართეს ღუმელები სამგზავრო დარბაზებში, კარგად მოაწყეს და მორთეს დედათა და ბავშვთა დარბაზი, განათლეს მგზავრთა მოსაცდელ პავილიონში ასასვლელი კიბე და სხვ.

15 დეკემბერს ლ. პ. ბერიას სახელობის ამიერ-კავკასიის რკინიგზის სამმართველომ შეადგინა თბილისის სამგზავრო სადგურის კოლექტივის მიერ ზამთრის სეზონისათვის გაწეული მუშაობა და გადასცა მას ზამთრისათვის ჭიადყოფნის პასპორტი.

ბ. მაისურაძე



ჩვენი ქვეყნის ხალხთა დიადი მეგობრობა

„პრავდის“ მოწინავე — 23 დეკემბერი

უმაგალითო ხიმამაცით, ლეგენდარული გმირობით იბრძვის საბჭოთა ხალხი თავისი სამშობლოსათვის. წითელმა არმიამ — საბჭოთა ქვეყნის ძალამ და ძლიერებამ — შეაჩერა და უკუაქცია შეჯავშნული ჰიტლერული ურჩხული. ამჟამად იგი გერმანელ ყაჩაღებს დასავლეთისაკენ მიერეკება საბჭოთა ციწა-წყლიდან. ომით შემოწმება, ბრძოლებია ცეცხლით შემოწმება — სასტიკი, ულმობელი შემოწმებაა. ომის ცეცხლში გამოიწრთო და კიდევ უფრო განმტკიცდა ჩვენი სახელმწიფოს, ჩვენი ხალხის ძლავრი ძალა; ყაჩაღურმა ჰიტლერულმა გერმანიამ ვერ გაუძლო გამოცდას, იგი უცილობლად მაეკარება დამარცხებისაკენ, გარდუვალი კატასტროფისაკენ.

„ახლანდელმა ომმა მთელი ძალიან დაადასტურა ლენინის ცნობილი მითითება იმის შესახებ, რომ ომი ყოველი ხალხის მთელი მატერიალური და სულიერი ძალების ყოველმხრივი გამოცდაა. ომების ისტორია გვასწავლის, რომ მხოლოდ ის სახელმწიფოები უძლებდნენ ამ გამოცდას, რომლებიც ობიექტიურ მოწინააღმდეგეზე უფრო ძლიერნი აღმოჩნდნენ მეურნეობის განვითარებითა და ორგანიზაციით, თავიანთი ჯარების გამოჯდილებით, ოსტატობითა და სიბრძოლო სულისკვეთებით, ხალხის გამძლეობითა და ერთიანობით ომის მთელ მანძილზე. სწორედ ასეთი სახელმწიფოა ჩვენი სახელმწიფო“ (ი. სტალინი).

სოციალისტური სახელმწიფოს სიმტკიცის ერთ-ერთი ურყევი საფუძველია ჩვენი ქვეყნის ხალხთა დიადი სტალინური მეგობრობა — ჩვენი საბჭოთა სამშობლოს უძლეველი ძლიერების წყარო. ერთიანია საბჭოთა კავშირის ხალხთა ფიქრი და ზრახვა სამამულო ომის დღეებში; ომი ყველა საბჭოთა ხალხის სასიცოცხლოა, საერთო საქმე გახდა.

რუსეთის მოწინავე პოეტები და პროზაიკოსები მოთმა ოცნებობდნენ ხალხთა მეგობრობის განმტკიცებაზე, იგი ჩვენი ქვეყნის ყოველების საწინდრად მიაჩნდათ. დიდი პუშკინი შთაგონებით ამბობდა:

Слух обо мне пройдёт по всей Руси великой
И назовёт меня всяк сущий в ней язык.

მძლავრი რუსული კულტურა და შეცნიერება ყოველთვის უდიდეს გავლენას ახდენდნენ საბჭოთა კავშირის ძმურ ოჯახში შემავალ სხვა ხალხთა განვითარებაზე. თავისმხრივ რუსი ხალხი ყოველთვის ბევრ რაჭას იღებდა სხვა ხალხთა კულტურის საგანძურიდან. ბევრი შთაგონებული ნაწარმოები დასწერეს ჩვენმა პოეტებმა მოძმე ხალხებისა თქმულება-ვადმოცემათა გავლენით.

დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ უფართოესი შესაძლებლობანი შეჰქმნა ჩვენი ქვეყნის ხალხთა შორის დიადი მეგობრობის განვითარებისა და განმტკიცებისათვის. ხალხების მეგობრობა განმტკიცებულია ოქტომბრის მონაპოვართათვის წარმოებულ ბრძოლაში დაღვრილი სისხლით, იგი ფოლადად გაიფურჩქნა და გაზარდა ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის განხორციელების შედეგად.

ბოლშევიკების პარტიას, ლენინ-სტალინის პარტიას მასებში შეჰქონდა საბჭოთა კავშირის ხალხთა ძმური მეგობრობის დიადი იდეა. იგი მჭიდროდ რაზმავდა საბჭოთა ქვეყნის ხალხებს შშვიდობიანი შშენებლობის წლებში. ახორციელებდა რა ლენინურ-სტალინურ ნაციონალურ პოლიტიკას, მან განვითარების ფართო გზაზე გამოიყვანა სსრ კავშირის ყველა ხალხი. და ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის ნაყოფი მთელი ძალით გამოჩნდა ომის მკაცრ წლებში, როცა ლენინ-სტალინის პარტიამ მიერ აღზრდილი საბჭოთა კავშირის ხალხები ერთსულოვნად აღსდგნენ სამშობლოს დასაცავად, საზიზღარი მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად.

„საბჭოთა კავშირის ყველა ხალხნი ერთსულოვნად აღსდგნენ თავიანთი სამშობლოს დასაცავად, რადგან მათ ახლანდელი სამამულო ომი სამართლიანად მიაჩნიათ ყველა შშრომელის საერთო საქმედ განურჩევლად ეროვნებისა და სარწმუნოებისა. ახლა უკვე თვითონ ჰიტლერელი პოლიტიკოსები ხედავენ, რა უაღრესად სულელური იყო მათი ფარაუდები, რომ საბჭოთა კავშირის ხალხთა შორის მოხდებოდა გათიშვა და შეჯახებანი“ (ი. სტალინი).

საბჭოთა ადამიანებს კარგად ესმით, თუ რა ძლიერ ძალას წარმოადგენს საბჭოთა კავშირის ხალხთა ურღვევი მეგობრობა. მათ ახსოვთ, თუ რა საშინელი საფრთხე ჩამოაწკა ჩვენს ქვეყანას იმ მომენტში, როცა ჰიტლერული ყაჩაღური ბანდები ნიაღვარივით შეიჭიჭინენ საბჭოთა მიწა-წყალზე. დაუნდობელსა და ულმობელ მტერს სურდა დაეპყრო ჩვენი მიწა-წყალი, ხელთ ეგდო ჩვენი ბური, ჩვენი ქვანახშირი და ლითონი, ჩვენი ნავთი, დაენგრია ჩვენი კულტურა, გაეყლეტა საბჭოთა კავშირის ხალხები, ხოლო ის, ვინც ცოცხალი გადარჩებოდა, გაეგერმანელებინა, ჰიტლერელ მხეცთა მონებად გადაეყვანა. მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად აღსდგა ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხი. ინგლისში მოსტყუეფნენ გერმანელი ფაშისტი არამზადები. ან კი რას მიხვდებოდნენ ჰიტლერელი ყაჩაღები, თუ რა დიადი ძალით ერიან შთაგონებული საბჭოთა ადამიანები. წითელი არმია საბჭოთა ხალხების მეგობრობის ცოცხალი განსახიერებაა. წითელი არმიის ძალა ის არის, რომ იგი აღზრდილია ყველა ხალხისა და რასის თანასწორუფლებიანობის სულისკვეთებით, სხვა ხალხების უფლებათა პატივისცემის სულისკვეთებით. წითელი არმიის რიგებში გმირულად იბრძვიან რუსებიც, უკრაინელებიც, ბელორუსებიც, ქართველებიც, სომხებიც, აზერბაიჯანელებიც, ყაზახებიც, უზბეკებიც, ტაჯიკებიც, თურქმენებიც, ლიტველებიც, ლატვიელებიც, ესტონელებიც და ჩვენი ქვეყნის ყველა სხვა ხალხებიც.

ისინი ყველანი გაერთიანებული არიან ერთი ზრახვითა და ერთი ნებისყოფით — დაიცვან თავიანთი სამშობლო, გერმანელ დაპატრონთაგან გასწმინდონ საბჭოთა მიწა-წყალი. ისინი ყველანი მჭიდროდ შეკავშირებული არიან თავიანთი სამშობლოს დიადი სიყვარულით. სამშობლოსი, რომელმაც ბედნიერება მისცა მათ, გზა გაუხსნა მათ ნაციელი და საამური ცხოვრებისაკენ. თუ რას გრძნობს საბჭოთა პატრიოტი ომის მრისხანე დღეებში, ეს მეტად მხატვრულად მოგვითხრო საბჭოთა კავშირის ვმირმა ეზბეკმა კუჩკარ ტურდიევმა. „მაგონდება, — სთქვა. მან, — ხალხური თქმულება მრისხანე თემურზე, რომელიც ხალხს უმალავდა წიგნს ადამიანის ბედნიერების შესახებ. იგი მთებში წავიდა, მაღალ კლდეზე ავიდა იქ, გააპო იგი მახკალის დარტყმით და წიგნი ნაპრალში დამალა. ბევიდა საუკუნეები. დაიბადა დიდი ადამიანი. მისი სახელია სტალინი. მან მოძებნა მთებში წიგნი ბედნიერების შესახებ. მან ვალიტა ბაები, მორწყო უდაბნო მიწები, შეჩქმა კოლმეურნეობები, აიგო სკოლები, საუკეთესო ბრიგადა ჩაგვრისაგან გაათავისუფლა ქალები. საამური და ბედნიერი ცხოვრება მისცა მან უზბეკ ხალხს...“

ომმა დაგვანახვა, თუ რა გმირობის ჩადენა, რა თავდადებული შრომა შესძლებოთ საბჭოთა კავშირის ძმურ ოჯახში გაერთიანებულ ხალხებს, რომელნიც იცავენ თავიანთ თავისუფალ ცხოვრებას, თავიანთ ბედნიერებას. ფრონტზე საბრძოლო წარმატებებიო, ზურგში შრომითი მეცადინეობითა შეიქმნა გარანტია სამამული ომში ჩვენი ქვეყნის სასარგებლოდ. წითელმა არმიამ მთელი რიგი ვამანადგურებელი დამარცხებანი აგება ჰიტლერელთა ურდოებს. ჰიტლერული არმია კატასტროფის წინაშე დგას. ჯერ კიდევ ბევრი სასტიკი ბრძოლა, ჯერ კიდევ ბევრი სასტიკი ბრძოლა, ჯერ კიდევ ბევრი ოფლი შეუღვრია შრომა მოგველის. საბჭოთა ქვეყნის ხალხთა წინაშე დგას ამოცანა — თავისუფლებისმოყვარე სხვა ხალხებთან კავშირში საბოლოოდ დაამარცხონ და საბოლოოდ გაანადგურონ მტერი, დგას ამოცანა დაძაბონ მთელი ძალები გამარჯვების მისაღწევად, დგას ამოცანა, რომ აღადგინონ დანგრეული რაიონები და ოლქები, რომელნიც წითელმა არმიამ გაათავისუფლა და რომელთაც ათავისუფლებს გერმანელ ფაშისტ დამპყრობთაგან.

ხალხთა ნებისყოფით შექმნილი, ერთიანი, ძლავრი საბჭოთა კავშირი ომიდან გამოვა ძლიერი და კიდევ უფრო განმტკიცებული. და სამარადისოდ იარსებებს თავისუფალ რესპუბლიკათა მჭიდრო და ურღვევი კავშირი, ჩვენი ქვეყნის თავისუფალ ხალხთა გამარჯვების დიდებით მოსილი.

Славься, Отечество наше свободное,
Дружбы народов надёжный оплот!
Знамя советское, знамя народное
Пусть от победы к победе ведёт!

თათბირი ჩაისა და ციტრუსების გამოზამთრების საკითხებზე

21-23 დეკემბერს საქ. სსრ მიწსახკომში ჩატარდა რესპუბლიკური თათბირი, რომელმაც განიხილა ჩაისა და ციტრუსოვანი კულტურების საშემოდგომო-საზამთრო სამუშაოთა მიმდინარეობა, აგრეთვე ციტრუსთა პლანტაციების აღდგენის, 1944-47 წლებში გაშენებისა და სხვა საკითხები.

თათბირმა მოისმინა ინფორმაციები სუბტროპიკული რაიონების მიწვანების უფროსი აგრონომებისა და ციტრუსოვანი კულტურების სპეციალისტებისა ადგილებიდან. თათბირზე სიტყვებით გამოვიდნენ: ამხ. ვ. გორდელაძე (ქობულეთი), მ. ჯანუყვაძე (მახარაძე), მიხაილიდისი (ბათუმი), გ. ეშბა (ოჩამჩირე), შ. ბალთელია (გალი), მ. ღვინჯილია (ცხაკაია), ლემონჯავა (წალენჯიხა), ჩიქოვანი (წულუკიძე), ფაცია (გეგეჭკორი), პ. ჯინჯიხაძე (აბაშა), ი. კანდელაკი (აფხაზეთის ასსრ), ვ. სტამბოლიდისი (სოხუმი), გრ. ხუნდაძე (ლანჩხუთი), ი. ქაჩიბაია (ჩაის საბჭოთა მეურნეობების ტრესტი), მ. დოლაბერიძე, ა. თოფურია, დ. ცქიტიშვილი, ს. თარხნიშვილი, ნ. იუშკევიჩი (საქმოწსახკომი) და სხვ.

თათბირზე აღინიშნა, რომ საშემოდგომო-საზამთრო სამუშაოები ჩაის პლანტაციებში ზოგან არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. ჩაის პლანტაციების გადაბარვის რესპუბლიკური გეგმა შესრულებულია მხოლოდ 33,8 პროცენტით. ამ საქმეში განსაკუთრებით ჩამორჩენილია აჭარისა და აფხაზეთის ასს რესპუბლიკები. აჭარის ასს რესპუბლიკაში 1.800 ჰექტარიდან გადაბარულია მხოლოდ 19 ჰექტარი, ხოლო აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში — 5.200 ჰექტარიდან — 724 ჰექტარი. არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს აგრეთვე სადრენაჟო ქსელის რემონტი. გეგმა შესრულებულია 21 პროცენტით. ეს საქმეში დღემდე არც კი დაუწყიათ აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში და

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘ ᲡᲐᲛᲐᲛᲣᲚᲝ ᲝᲛᲘᲡ ᲤᲠᲝᲜᲢᲔᲑᲖᲔ

ᲣᲤᲠᲝᲡᲘ ᲚᲔᲘᲢᲔᲜᲐᲜᲢᲘ Ზ. ᲑᲘᲫᲘᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ზაქარია მოსეს-ძე ბიძინაშვილი დაიბადა 1910 წელს სიღნაღის რაიონის სოფელ ტიბაანში. საშუალო საგაზეთო სწავლებელი დაამთავრა 1934 წელს სოფ. ბაკურციხეში, 1939 წელს დაამთავრა თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი და ამავე წელს დაიწყო მუშაობა მასწავლებლად ბაკურციხის ტექნიკუმში. 1940 წელს გაწვეულ იქნა წითელ არმიაში. აქ მას მიენიჭა უმცროსი ლეიტენანტის წოდება. მას შემდეგ წითელი არმიის რიგებში იმყოფება.

ამხ. ბიძინაშვილი კავკასიისათვის ბრძოლის მონაწილეა. იგი ჩვენი სახელოვანი წითელი არმიის მებრძოლებთან ერთად ფეხდაფეხ მისდევდა და სპობდა ჰიტლერელ ბანდიტებს თერგიდან შავ ზღვამდე. მრავალი მძაფრი ბრძოლის მონაწილე იყო ამხ. ბიძინაშვილი და ყველგან გამოიჩინა ბრძოლის უნარი, ინიციატივა და მამაცობა.

ამხ. ბიძინაშვილი მოგვითხრობს მრავალ საბრძოლო ეპიზოდს, როდესაც მან ღირსეულად შეასრულა სარდლობის დავალება.

შეტევის დროს ჩვენი ხაზის ერთი ადგილი გაშიშვლდა. საჭირო იყო მისი დაფარვა ძალთა გადაჯგუფებამდე. ეს ამოცანა ამხ. ბიძინაშვილს მიანდეს.

ამხ. ბიძინაშვილმა, უფროს ლეიტენანტ გაბო შველიძესთან ერთად, წაიყვანა ოცეული და სამი დღის განმავლობაში იცავდა ამ ადგილს. მტერმა არ იცოდა, რომ იქ მხოლოდ ერთი ოცეული იდგა, ხოლო ამხ. ბიძინაშვილის მებრძოლები ისე იქცეოდნენ, თითქოს ერთი ასეული მაინც ყოფილიყო. ამ ბრძოლაში მათ მოსპეს მტრის საცეცხლე წერტილი და ათობით ჰიტლერელი.

ერთ-ერთი ყველაზე მძაფრი ბრძოლა ამხ. ბიძინაშვილს მოუხდა დასახლებულ პუნქტ კ-ს ალებისათვის. ამხ. ბიძინაშვილს დავალებული ჰქონდა შემოევლო ამ პუნქტისათვის მარცხენა ფლანგიდან. გერმანელები გაფფრებით იცავდნენ ყოველ ნაბიჯს. ბრძოლამ მეორე დღემდე გასტანა. სოფელი კ. ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს. მაგრამ მტერმა არ მოისვენა და კონტრიერიშზე გადმოვიდა. მან გამოუშვა ჩვენს წინააღმდეგ ტანკები, რომლებსაც მეავტომატეები მოსდევდნენ. ჩვენი მებრძოლები მედგრად იდგნენ თავიანთ პოზიციებზე და მოიგერიეს მტრის კონტრიერიში. ამ ბრძოლაში ამხ. ბიძინაშვილი მძიმედ დაიჭრა.

ამხ. ბიძინაშვილი სიყვარულით იხსენიებს იმ ადამიანებს, რომლებიც მასთან მხარდამხარ იბრძოდნენ. მტერთან გაფფრებულ ბრძოლებში თავი ისახელეს ლეიტენანტმა ვალოდია სიმონის-ძე კარსეიშვილმა, უფროსმა სერჟანტმა მექი კენჭაძემ, ლეო გელაშვილმა, რომელიც დაჯილდოებულია მედლით „მამაცობისათვის“, სერჟანტმა პაველ ცაავამ, წითელარმიელებმა ნიკოლოზ გულოშვილმა და კაწელაშვილმა.

— უმაგალითო გმირობა ჩაიდინა ლეიტენანტმა ნიკოლოზ ადიკაშვილმა,—მოგვითხრობს ამხ. ბიძინაშვილი. — იგი მარტო დარჩა თავის ტყვიამფრქვევთან და განუწყვეტლივ ესროდა მტერს. მის ტყვიამფრქვევთან შემდეგში გილზების დიდი გროვა აღმოჩინეს.

ნ. ილოშვილი

◇ □ ◇

... წითელი არმიის ყოველ მებრძოლს შეუძლია სიამაყით სთქვას, რომ იგი ეწევა სამართლიან, განმათავისუფლებელ ომს, ომს თავისი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. წითელ არმიას აქვს ომის თავისი კეთილშობილური და დიადი მიზანი, რომელიც აღფრთოვანებს მას საგმირო საქმეებისათვის. სწორედ ამით აიხსნება, რომ სამამულო ომი ჩვენში წარმოშობს ათასობით გმირ ვაჟებსა და ქალებს, რომლებიც მზად არიან თავი დასდონ თავისი სამშობლოს თავისუფლებისათვის.

ი. სტალინი

◇ □ ◇

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲒᲛᲘᲠᲘ ᲚᲔᲘᲢᲔᲜᲐᲜᲢᲘ ᲞᲝᲜᲖᲘᲜ ᲐᲕᲥᲡᲔᲜᲢᲘᲡ-ᲫᲔ ᲡᲝᲠᲓᲘᲐ

ოქტომბერში წითელმა არმიამ განახორციელა მდინარე დნეპრის გადალახვის რთული სამხედრო ოპერაცია. ჩვენმა ჯარებმა გაარღვიეს სიმაგრეები დნეპრის მარჯვენა ნაპირზე და დაიკავეს პლაცდარმები კიევის ჩრდილოეთით, ქალაქ პერეიასლავის სამხრეთით და კრემენჩუგის სამხრეთ-აღმოსავლეთით. ამ ბრძოლებში თავი ისახელა საქართველოს სახელოვანმა შვილმა პონზინ ავქსენტის-ძე სორდიამ.

პონზინ (ბონძი) ავქსენტის-ძე სორდია დაიბადა 1911 წელს ზუგდიდის რაიონის სოფ. ცაიშში. აქვე დაამთავრა დაწყებითი სკოლა, რის შემდეგ მუშაობდა სოფლის მეურნეობაში. 1937 წლიდან ამხ. სორდია სოფ. ცაიშის 1 მაისის სახელობის კოლმეურნეობის წევრები ამაყობენ თავიანთი სახელოვანი შვილის გმირული ბრძოლებით და სიტყვას იძლევიან უფრო მეტი ენერგიით იმუშაონ საკოლმეურნეო მინდვრებზე ფრონტის დასახმარებლად, ვერაგი მტრის ჰიტლერელი აგიტპამიების საბოლოო განადგურებისა დასაჩქარებლად.

ზ. ლალიაშვილი

ᲞᲐᲠᲢᲘᲖᲐᲜᲘ Ш. რ. ᲮᲣᲞᲐᲪᲐᲠᲘᲐ

გზა თითქმის არ ჩანს. ყუმბარებით აყვავებული მტვრის სვეტები ჰფარავენ მას.

უფროს სერჟანტ ოპანასენკოს მებრძოლები გაჩქარებით მუშაობენ. ისინი ამზადებენ ეაცეცხლე პოზიციას, საჭიროა მალე სროლის დაწყება.

ჩვენ მივდივართ ვიწრო ბილიკით. აქეთ-იქით ეკლნარნი ბუჩქებია. ბილიკი მიდის საცეცხლე პოზიციებისაკენ. აქ გვეგებება მაღალი შავთვალა ქართველი. შემდეგ იგი დიდხანს მოგვითხრობს თავის მებრძოლებზე, საბრძოლო ცხოვრებაზე. იგი მოგვითხრობს უფროს სერჟანტ ოპანასენკოს შესანიშნავ გუნდზე, კომუნისტ ქემაშვილზე, მემეზნე ბიბილაშვილზე, მოგვითხრობს, რომ ამას წინათ გუნდმა საუკეთესო სროლისათვის მადლობა მიიღო. პარტორგი შალვა რომანოზის-ძე ხუპაცარია სიამაყით მოგვითხრობს თავის მებრძოლ ამხანაგებზე, კომუნისტებზე, მათს საგმირო საქმეებზე.

სერჟანტი ორდანია, რომელიც იქვე იჯდა საუბრის დროს ღიმილით უცქეროდა თავის მეგობარს. ბოლოს ადგა, მოვიდა ჩვენთან და გვითხრა:

— ყველაფერი, რაც შალვამ გიამბოთ, სწორია, მაგრამ მოდი ახლა მე გიამბობთ პარტორგ შალვა ხუპაცარიაზე.

— ამას წინათ, — განაგრძო ორდანიამ,— ბატარეა ეცეცხლა უშენდა გერმანელების საცეცხლე წერტილს. უცბად გაწყდა კავშირი და ჩვენი ბატარეა იძულებული იყო შეეწყვიტა სროლა. ხუპაცარია მაშინვე წავიდა ეცეცხლა ბაზზე. ძლიერი სროლის მიუხედავად, მან შეაერთა კაბელის გაწყვეტილი ბოლოები, აღადგინა კავშირი და ბატარიამ კვლავ დაიწყო სროლა. უკან რომ ბრუნდებოდა, წაიწყდა დაჭრილ ამხანაგს ზავგორიდნის. ხუპაცარიამ შეუხვია მას ჭრილობა და ხელში აყვანილი მოიყვანა. ასეთი შემთხვევები ხშირია შალვა რომანოზის-ძე ხუპაცარიას ცხოვრებაში.

ა. ᲒᲚᲐᲡᲝᲕᲘ
ბ. ᲒᲝᲠᲔᲜᲙᲝ

მოქმედი არმია.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲒᲛᲘᲠᲘ ᲚᲐᲕᲠᲔᲜᲢᲘ ᲘᲕᲐᲜᲔᲡ-ᲫᲔ ᲐᲕᲐᲚᲘᲐᲜᲘ

გერმანელთა ძლიერ გამაგრებული ზოლის გარღვევისა და ქალაქ მელიტოპოლის განთავისუფლების საქმეში სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან მამაცობისა და გმირობის გამოჩენისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1943 წლის 1 ოქტომბრის ბრძანებულებით საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა სერჟანტ ლავრენტი ივანეს-ძე ავალიანს.

ქართველი ხალხის სახელოვანი შვილი, მამაცი მეომარი ლავრენტი ავალიანი გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლებს მონაწილეობდა. ფრონტზე იგი 1942 წლის მარტიდან იყო. მას მკერდს უმშვენებდა წითელი დროშის ორი ორდენი იმ მომენტში, როდესაც ამ ნაწილმა, რომელშიც იგი ირიცხებოდა, ბრძოლებით გაიარა ყუბანი, დონბასი და გააფთრებული ბრძოლის შემდეგ მელიტოპოლშინის სოფლებში გავიდა.

— სამშობლოსათვის! სტალინისათვის! — ამ საბრძოლო ძახილით მიდიოდა ფიცხელ იერიშებზე მამაცი კომკავშირელი მეავტომატე და მაგალითს აძლევდა თავის მებრძოლ მეგობრებს. იგი პირველი შეიჭრებოდა ხოლმე მტრის სანგრებში და ულმობლად სპობდა ფაშისტ ყაჩაღებს, რომლებიც ბილწავდნენ ჩვენს წმიდათა-წმიდა საბჭოთა მიწა-წყალს და სტანჯავდნენ ჩვენს საბჭოთა ადამიანებს. მარტო ერთ ბრძოლაში მან სამ ათეულზე მეტი საზიზღარი ჰიტლერელი მოსპო.

ომის განმავლობაში ლავრენტი ავალიანი სამჯერ დაიჭრა, მაგრამ განკურნების შემდეგ იგი ჩქარობდა დაბრუნებულიყო მწყობრში, რათა კიდევ უფრო ულმობლად ეფლეთა მტერი.

...თებერვარა გაჭედილი იყო ქვეითების, ავტომშენქენების, საზიზღრების კოლონებით. ადამიანთა ხმები, თვლების ჭრიალი, ცხენის ნალების წკრიალი სალამოს ბინდბუნდში ერთ ხმაურში ერთდებოდა. დროდადრო შორიდან მოისმოდა შორმსროლელი ქვემეხების გრიალი.

— კიდევ ორი გადასვლა, და მივწვდებით გერმანელებს, დნეპრში გადაყრით მათ, — ეუბნებოდნენ ერთმანეთს მებრძოლები. სწორედ ამ დროს დაეწია თავის ასეულს ლავრენტი ავალიანი.

იგი მიიჩქაროდა თავის ნაწილში უკანასკნელი ჭრილობის განკურნების შემდეგ.

მისმა დაბრუნებამ ერთბაშად შეიტანა სიცოცხლე ასეულის საბრძოლო ფიცებში. მალე საბჭოთა ჯარებმა იერიში მიიტანეს გერმანელთა ძლიერ გამაგრებულ თავდაცვაზე.

ავალიანი, როგორც ყოველთვის, ყველა მებრძოლზე წინ მიდიოდა. გაფფრებულ ხელჩართულ შეტაკებაში მან ამჯერადაც მარტო ერთი დღის განმავლობაში მოსპო ოცამდე ჰიტლერელი, მათ შორის ორი ოფიცერი.

მაგრამ უფრო გაფფრებული ბრძოლები გაჩაღდა მეორე დღეს, ალბათ ყველაზე უფრო ცხარე ბრძოლები, რომლებშიც კი ომის მთელი დროის განმავლობაში მონაწილეობა მიუღია ლავრენტი ავალიანს.

გერმანელთა რამდენიმე ტანკი და თვითმავალი ქვემეხი ჩვენი პოზიციების გასატარებლად მოდიოდნენ. საბჭოთა არტილერისტებმა და ჯავშანმტვრეველებმა გერმანელთა ტექნიკას თავიანთი ეცეცხლის მთელი ძალა დაატეხეს. სანთელივით აალაპლაპდა მტრის ერთ-ერთი ტანკი. შემდეგ აბრიალდა მეორე. ეცეცხლმოდებული ტანკიდან ამოხტა გერმანელი. ავალიანმა, რომელიც საუცხოოდ იყო დაუფლებული ყველა სახის სასროლ იარაღს, ერთ წამში მიაწვინა იგი ხელის ტყვიამფრქვევით. ასეთივე ბედი ეწია დანარჩენ ფაშისტ ტანკისტებსაც.

მაგრამ გერმანელთა ტანკები წინ მოძვრებოდნენ. ბრძოლა ჩაღდებოდა. მწყობრიდან გამოვიდა ოცეულის მეთაური.

— ოცეულს ვმეთაურობ მე. გავუმკლავდეთ უკანასკნელ ვაზნამდე. შევინარჩუნოთ ზღუდე, ვიდრე ცოცხლები ვართ! — გასცა ბრძანება ავალიანმა.

მწყობრიდან გამოვიდა ჩვენი ტანკსაწინააღმდეგო თოფის გუნდი. აქეთ, ორი ჩვენი ასეულის შესაყარისაკენ, გამოემართა გერმანელთა ერთ-ერთი ტანკი. ავალიანი აცა ტანკსაწინააღმდეგო თოფს და რამდენიმე სროლით დააჭიანა მომჭროლავი ტანკი. მას შემდეგ ეცეცხლი მოედო ორ მძიმე ტანკს. ერთ-ერთი მათგანის მუხლუხების ქვეშ დაიღუპა უშიშარი მეომარი.

საბჭოთა ქვეითებმა მოიგერიეს გერმანელთა კონტრიერიში, თვითონ გადავიდნენ შეტევაზე, გასტეხეს მტრის თავდაცვა და მძლავრი დარტყმით უკუაგდეს მტერი დასავლეთისაკენ.

ლავრენტი ივანეს-ძე ავალიანი დაიბადა 1923 წელს ქუთაისის რაიონის სოფელ აკეთაში. აქვე მიიღო საშუალო განათლება. სამამულო ომში წასვლამდე, სკოლაში სწავლის დროს იგი გატაცებული იყო სამხედრო საქმის შესწავლით და სამხედრო საგანში მუდამ საუკეთესო ნიშანი ჰქონდა. სკოლის დამთავრების შემდეგ იგი წავიდა წითელ არმიაში.

ლავრენტი ავალიანი მამაცურად იბრძოდა ჩვენი დიადი სამშობლოს ღირსებისა და თავისუფლებისათვის. გმირის დიდებით მოსილია მისი სახელი მუდამ იცოცხლებს ხალხში იმ სახელთა შორის, რომლებიც ოქროს ასოებით შეიტანენ დიდი სამამულო ომის ისტორიაში, რომლებიც მუდამ მოგვაგონებენ ჩვენი წითელი არმიის დიდებულ საგმირო საქმეებს, სტალინური ეპოქის მიერ შობილ დეკანმრ მეომრებს.

უფროსი ლეიტენანტი Ვ. ᲙᲚᲘᲛᲝᲕᲘ
უფროსი ლეიტენანტი
Გ. ᲛᲣᲚᲙᲘᲯᲐᲜᲘᲐᲜᲘ

ᲛᲐᲛᲐᲪᲘ ᲚᲔᲘᲢᲔᲜᲐᲜᲢᲘ ᲨᲝᲗᲐ ᲭᲐᲑᲘᲫᲔ

ჩვენს ნაწილში თავი ისახელა ქართველი ხალხის მამაცმა შვილმა ლეიტენანტმა შოთა ამბერკის-ძე ტაბიძემ. მისმა ასეულმა სულ ცოტა ხნის განმავლობაში 17 შეტევაში მიიღო მონაწილეობა და ყოველთვის გამარჯვებული გამოვიდა. მისმა მებრძოლებმა რამდენიმე დასახლებული პუნქტი გათავისუფლეს გერმანელ ფაშისტ დამპყრობთაგან, რისთვისაც სარდლობისაგან მიღებული აქვს რამდენიმე მადლობა და თავის მამაც მებრძოლებთან ერთად წარდგენილია მთავრობის ჯილდოზე.

ერთ-ერთი ბრძოლის დროს საჭირო იყო მტრის ტყვიამფრქვევის ჩაჩუმება, რომელიც ძლიერ უშლიდა ხელს ჩვენი მებრძოლების წინსვლას. ტაბიძე მიეპარა ტყვიამფრქვევის გუნდს და გრანატებით გაანადგურა იგი. უკან რომ ბრუნდებოდა, მას დაედევნა ათი გერმანელი. ტაბიძეს მხოლოდ 8 ტყვია და ბებუთი დარჩენოდა. მან ტყვიებით 7 გერმანელი მოსპო, ხოლო თვითონ მარჯვენა ხელში დაიჭრა. დანარჩენ 3 გერმანელს უნდოდა მისი ცოცხლად ხელში ჩაგდება, მაგრამ ტაბიძე მარცხენა ხელით შეებრძოლა მათ, ერთი გერმანელი მოჰკლა, ხოლო ორი ტყვედ წამოიყვანა.

მაიორი ᲥᲐᲕᲗᲐᲠᲐᲫᲔ

ᲤᲠᲝᲜᲢᲔᲚᲘ ᲥᲐᲚᲔᲑᲘ

ᲡᲐᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲝ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘᲡ ᲣᲤᲠᲝᲡᲘ ᲚᲔᲘᲢᲔᲜᲐᲜᲢᲘ Მ. Ო. ᲭᲝᲠᲝᲜᲯᲐᲫᲔ

მარგარიტა ოქტობრის-ასული ტორონჯაძე დაიბადა 1913 წელს სამტრედიაში, რკინიგზელის ოჯახში, 1927 წელს დაამთავრა რკინიგზის შვიდწლედი, ხოლო 1931 წელს თბილისის სამედიცინო სასწავლებელი. ამის შემდეგ ახალგაზრდა ექიმის თანაშემწე მუშაობს თავის სპეციალობაზე.

ომის დაწყების დღიდან ამხ. ტორონჯაძე წავიდა წითელ არმიის რიგებში და გაიგზავნა საველე ჰოსპიტალში უფროს საოპერაციო დად. აქედან იწყება მისი საბრძოლო ცხოვრება.

საბრძოლო პირობებში ამხ. ტორონჯაძემ შესანიშნავი სიმტკიცე და სიმამაცე გამოიჩინა.

მარგო ტორონჯაძე ომის დაწყებიდან მუდამ ბრძოლის ველზეა. იგი მონაწილეა იმ ბრძოლებისა, რომელიც 1942 წელს სწარმოებდა ქერჩისათვის. საექიმო დახმარებას უწევდა იმ მებრძოლებს, რომლებიც დაიჭრნენ კრასნოდარის, ტამანის ნახევარკუნძულის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში. არტილერიის, ნაღმსატყორცნების ეცეცხლქვეშ, მტრის ავიაციის თავდასხმების პირობებში ამხ. ტორონჯაძე ასრულებდა თავის სამატეო მოვალეობას.

ერთხელ დაჭრილი მებრძოლისათვის საჭირო იყო სისხლის გადასხმა. დონორი არ იყო. ამხ. ტორონჯაძე ერთ წუთსაც არ დაფიქრებულა, მაშინვე მივიდა უფროს ექიმთან და სთხოვა მისი სისხლი გადასხმათ დაჭრილისათვის. სისხლი გადაუსხეს მებრძოლს და ამით სოცოცხლე შეუნარჩუნეს მას. ასეთი შემთხვევა მას რამდენიმე ჰქონდა.

სამედიცინო სამსახურის უფროსი ლეიტენანტის მ. ტორონჯაძის საბრძოლო დახასიათებაში სწერია: „დღიდან 5 ჰოსპიტლის ჩამოყალიბებისა ამხ. ტორონჯაძე ამ ჰოსპიტალში მუშაობს. ის არის დისციპლინირებული, კვალიფიციური საოპერაციო და. საჭიროების შემთხვევაში შეუსვენებლივ მუშაობდა საოპერაციო მაგიდასთან და სანიტარულ დახმარებას უწევდა დაჭრილ მებრძოლებს“.

სარდლობამ დაიფასა ამხ. ტორონჯაძის თავდადება და დააჯილდოვა იგი მედლით „საბრძოლო დამსახურებისათვის“.

ამხ. ტორონჯაძე ნოვოროსიისკისათვის ბრძოლების მონაწილეა, რისთვისაც სარდლობამ იგი მთავრობის ჯილდოზე წარადგინა.

ნ. ი.

ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲤᲔᲠᲨᲐᲚᲘ Ლ. Კ. ᲑᲣᲐᲫᲔ

ჩვენი ქვეყნის პატრიოტ ქალთა რიცხვს ეკუთვნის სამხედრო ფერშალი ლოლა კონსტანტინეს-ასული ბუაძე. ომის დაწყების პირველი დღიდან იგი საველე ჰოსპიტალში მუშაობდა და თითქმის ორი წელი გაატარა ბრძოლის ველზე.

მტრისადმი სიძულვილი და ჩვენი სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარული ყოველთვის ენერგიას მატებდა მამაც ქალს უმძიმეს პირობებში. მან სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა დაჭრილ მებრძოლებში მათდამი გულთბილი დამოკიდებულებისათვის.

ამხ. ბუაძე, როგორც ჩვენი ქვეყნის მოწინავე ადამიანი, მიღებულ იქნა საკ. კ. პ. (ბ) რიგებში. თავისი სამხედრო მოვალეობის შესრულებასთან ერთად იგი საუკეთესოდ ასრულებს პარტიულ დავალებას — აგიტატორობა.

ჰოსპიტლის დაჭრილთა და ავადმყოფთა შეთანხმებულებების წიგნში ნახავთ ასეთ ჩანაწერს: „ჰოსპიტალში ჩემი ყოფნის მთელი დროის განმავლობაში თავს დამტრიალებდა ექიმის თანაშემწე ლოლა ბუაძე. იგი შესანიშნავი მოვალეა და საუკეთესო მეგობარია დაჭრილებისათვის. განვიკურნე და გავეწერე 1943 წლის 20 აპრილს და, მივემგზავრები რა ნაწილში, ჩემდამი უდიდესი მზრუნველობისათვის ეს ურჩმეს მადლობას ვუძღვნი ჰოსპიტლის ექიმებსა და ექიმის თანაშემწეებს, განსაკუთრებით კი ამხ. დონდუასა და ბუაძეს. ასეულის პოლიტხელი ბ. გეგეჭკორი“. ასეთი მადლობა არაერთი მიუღია ლოლა ბუაძეს.

გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან გულადობისა და მამაცობის გამოჩენისათვის სამხედრო ფერშალი ლოლა კონსტანტინეს-ასული ბუაძე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით დაჯილდოებულია მედლით „საბრძოლო დამსახურებისათვის“.

ლოლა ბუაძე დაიბადა 1921 წელს ამბროლაურის რაიონის სოფელ ხოსეფირში. დაამთავრა ტყიბულის საფერშლო სკოლა და იმ დღიდან იმყოფება წითელი არმიის რიგებში.

ხ. ᲤᲝᲬᲮᲘᲫᲔ



მოქმედი არმია. დიდი სიმძლავრის ქვემეხი, რომელსაც ორდენოსანი ლეიტენანტი ი. ელისეევი მეთაურობს, ეცეცხლს უშენს გერმანელთა სიმაგრეებს.

ფოტო ნ. ᲥᲣᲜᲝᲤᲝᲜᲢᲝᲕᲘᲡᲗᲐᲡ (საკავშირო ფოტოქრონიკა).

Ი. ᲕᲘᲥᲢᲝᲠᲝᲕᲘ

ᲰᲘᲢᲚᲔᲠᲘᲡ ᲐᲕᲐᲖᲐᲙᲣᲠᲘ ᲙᲝᲐᲚᲘᲪᲘᲘᲡ ᲠᲦᲕᲔᲕᲐ

ამას წინათ პრესაში დაიბეჭდა პატარა ცნობა, რომელიც მეტად დამახასიათებელია ახლანდელი ურთიერთობისა ჰიტლერულ გერმანიასა და რუმინეთს შორის. ამ ცნობაში ნათქვამი იყო, რომ ჰიტლერისა და ანტონესკუს მოლაპარაკებას ის მოჰყვა, რომ რუმინელი ვასალი დაჰპირდა ფაშისტურ გერმანიას ნავთის მიწოდებას, სანაცვლოდ კი მიიღო ნებართვა ევაკუაციისა უყოს რუმინეთის ჯარებს ყირიმიდან.

რა თქმა უნდა, ძნელია იმის გამორკვევა, თუ რამდენად შეეფერება ეს ცნობა სინამდვილეს, მაგრამ ამ ცნობის თვით ხასიათია საგულისხმო. ერთი წლის წინათ შეუძლებელი იყო იმის წარმოდგენა, რომ ანტონესკუს ლი იყო იმის შეეძლო ჰიტლერთან ვაჭრობა და არჩევანი: ნავთი ან ჯარისკაცები. შარშან ანტონესკუ ვალდებული იყო სიტყვის შეუბრუნებლად მიეწოდებინა ნავთიცა და ჯარისკაცებიც. ჰიტლერი. ახლა მდგომარეობა შეიცვალა. ჰიტლერის თვით ყველაზე უფრო ერთგული ყმა, მისი რუმინელი ლაქია, ბედავს დავას.

რასაკვირველია, ანტონესკუ კიდევ ემსახურება ჰიტლერს, მაგრამ ყოველ ღონეს ხმარობს იმისათვის, რომ, თუ მოახერხა, თავი დააღწიოს იმ ხვედრს, რაც ფაშისტურ ბანდას გარდუვალად მოელის. აქედან გამომდინარეობს სწორედ ანტონესკუს ხროვის ლაქიური რუმინელთა ოპოზიციასთან. მაგალითად, შეეიცარიული გაზეთი „გაზეტ დე ლანანი“ იუწყება, რომ პრემიერის მოადგილე მიხეილ ანტონესკუ თითქოს მოლაპარაკებას ოპოზიციის ერთ-ერთ ლიდერ მანიუსთან „დემოკრატიული მთავრობის“ ჩამოყალიბების შესახებ.

როგორც ცნობილია, მანიუ წინააღმდეგია ფაშისტურ გერმანიასთან თანამშრომლობისა. ანტონესკუს ხროვის მიმართვა ოპოზიციის მანიუსადმი იმას მოწმობს, რომ ჰიტლერის რუმინელი ლაქიები უარს არ იტყვიან ჯამოვიდნენ ევაზაკური კოალიციიდან, რათა თავიდან აიცილონ პასუხისმგებლობა იმ შავბნელ დანაშაულობებში მონაწილეობისათვის, რაც ფაშისტური ბანდისაგან არის ჩადენილი.

ის, რაც დამახასიათებელია რუმინეთისა, ტიპიურია ჰიტლერის ყველა სხვა ვასალისათვისაც. მივმართოთ უნგრეთს. ამ ქვეყნის პრესამ უკვე დიდი ხანია შესწყვიტა წერა ფართო დაპყრობითს გეგმებზე, რომლებიც მას ომის პირველ დღეებში ჰქონდა. ახლა უნგრული პრესა მეტად მოკრძალებულია. იგი ყოველნაირად ასხამს ქება-დიდებას უნგრეთის „მშვიდობისმოყვარეობას, დაპყრობითი მისწრაფებების უქონლობას“ და ა. შ. უფრო მეტიც, იგი ვითომ ცდილობს ობიექტურად ფაშუქის ახლანდელი მოვლენები. მაგალითად, უკვე კარგა ხანია უნგრული პრესა თავსებს საბჭოთა კავშირისა და ინგლისის სამხედრო ცნობებს. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ უნგრეთის პრესამ გამოაქვეყნა საბჭოთა კავშირის, ინგლისისა და ა. შ. შტატების საგარეო საქმეთა მინისტრების მოსკოვის კონფერენციის დეკლარაცია. ამასთან ის ადგილებიც კი არ არის გამოტოვებული, სადაც ხაზგასმით არის აღნიშნული კონფერენციის მონაწილეთა სოლიდარობა და ერთსულოვნობა.

მისწრაფება გვიჩვენონ უნგრეთი როგორც თითქმის ნეიტრალური ქვეყანა გამოსჩვივის მმართველი წრეების წარმომადგენელთა გამოსვლებშიც. პრემიერ-მინისტრმა ჯალაი თავის სიტყვაში საქმე ისე დაასურათა, თითქოს ომი დიდ სახელმწიფოთა შორის აწარმოებდეს, ამასთან უნგრეთი კი მეკიალუურესაფით ესწრებოდეს.

ფინური პრესაც ამტკიცებს იმას, რომ ფინეთი რადაც თავის „განსაკუთრებულ“ ომს ეწევა და სრულიადაც არ იღებს მონაწილეობას ფაშისტური გერმანიის მიერ გაჩაღებულ ევაზაკურ ომში.

ჰიტლერის ლაქიების ეს მანევრები გერმანიის მოატყუებს. ყველამ ძალიან კარგად იცის, თუ რა ანგარიშით, რა მიზნებით ჩაებნენ ომში ჰიტლერის ვასალები და როგორია -მათი პასუხისმგებლობის წილი იმ შავბნელ ბოროტმოქმედებებში, რაც ფაშისტურმა ბანდამ ჩაიდინა, მაგრამ ეს მანევრები დამახასიათებელია. ისინი მოწმობენ იმაზე, რომ ჰიტლერული ევაზაკური ბლოკი ირღვევა.

პირველი უაღრესად სერიოზული დარტყმა ჰიტლერულ კოალიციას აგვმა იტალიის გამოსვლამ „ბერლინ-რომის ღერძის“ სისტემიდან. იტალიამ საკუთარ ტყავზე ვრცადა ბოლომდე ყოველივე, რაც ჰიტლერულ გერმანიასთან კავშირს მოაქვს. მუსოლინი შენებდა „რომის იმპერიის“ აღორძინებაზე, თითქმის მთელი აფრიკის დაპყრობის, ბალკანეთისა და საფრანგეთის ტერიტორიის ნაწილის ხელში ჩაგდების, მთელს ხმელთაშუა ზღვაზე ბატონობის გრანდიოზულ გეგმებს.

მუსოლინის ვარაუდი აგებული იყო იმაზე, რომ ჰიტლერული გერმანია გაიმარჯვებდა, გაანადგურებდა საბჭოთა კავშირს. სწორედ ამიტომ გაგზავნეს იტალიელმა ფაშისტებმა თავიანთი ჯარები საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე.

მუსოლინის გეგმების ჩაფუშვა და იტალიის ფაშიზმის კრახი ჰიტლერის გეგმების ჩაშლის პირდაპირი შედეგია. წითელმა არმიამ გააცამტვერა მითი გერმანიის არმიის ძლიერ ელობის შესახებ, უსასტიკესი დამარცხება მიაყენა მას, გასტეხა ფაშისტური სახედრო მანქანა და გზა გაუკაფა ანტიჰიტლერული კოალიციის გამარჯვებას.

წითელი არმიის დარტყმებით და ჩვენი მოკავშირეების წარმატებითი მოქმედების შედეგად იტალიის ფაშიზმმა სრული კრახი განიცადა. იტალია დაუბრუნებლად გამოკარდა ჰიტლერული კოალიციიდან.

ფაშისტური ბლოკის ყველა სხვა მონაწილისათვის ცხადი გახდა, რომ ჯერ-ჯერობით, გერმანია გამარჯვებას ვერ მოიპოვებს, და მეორეც, ჰიტლერულ გერმანიას არ შეუძლია და არც ცდილობს დაიცვას თავისი „მოკავშირენი“.

ჰიტლერის ყოველი ვასალის წინაშე ახლა მთელი სიმწვავით სდგება საკითხი: შემეძლ რაღა იქნება? ჰიტლერის გამარჯვებას რწმენა არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს. მაშასადამე, არ არის გამოსავალი მდგომარეობიდან ფაშისტურ ბლოკში შემდგომი ყოფნის შემთხვევაში.

„ახლა უკვე ყველასათვის აშკარაა, რომ ჰიტლერულმა ხროვამ, გააჩაღა რა ახლანდელი ომი, გამოუვალ ჩიხში მოაქცია გერმანია და მისი მაჩანჩალები“. (ი. სტალინი).

ფაშისტური გერმანიის ვასალური ქვეყნების მმართველები იძულებული არიან ანგარიში გაუწიონ შინაპოლიტიკური მდგომარეობის მზარდ გამწვავებას. ამ ქვეყნების მოსახლეობა თავის ზურგზე განიცდის ჰიტლერულ ავაზაკურ ბანდაში ყოფნის მთელ სიმძიმეს. გერმანელი ფაშისტები განაგრძობენ თავიანთი „მოკავშირეების“ ძარცვას. და რაც უფრო ცუდად მიდის ჰიტლერელებს საქმე, მით უფრო აძლიერებენ ისინი თავის ვასალებზე ძალდატანებას და მათს ძარცვას.

„იტალიის მაგალითი ჰიტლერის ვასალებს უჩვენებს, რომ რაც უფრო აპირებენ ისინი გერმანელებთან კავშირის გარდუვალ გაწყვეტას და საშუალებას აძლევენ მათ იპარპაშონ მათს სახელმწიფოებში, მით უფრო მეტი გაჩანაგება მოელის მათს ქვეყნებს, მით უფრო მეტი ტანჯვის გადატანა მოუხდებათ მათს ხალხებს. იტალიის მაგალითი გვიჩვენებს აგრეთვე, რომ ჰიტლერული გერმანია არც კი ფიქრობს დაიცვას თავისი ვასალური ქვეყნები, არამედ განზრახავ აქვს გადაკეტოს ისინი ამოხრჩობელი ომის ასპარეზად, ოღონდ გადასწიოს საკუთარი

უპასუხისმგებლობა თუ ისტორიული ფაქტების ფალსიფიკაცია?

საქართველოს ისტორიული მეცნიერება მოწოდებულია ჩვენი წარსულის მარქსისტულ-ლენინური ანალიზი მოგვცეს და თანამედროვეთათვის ნათელი გახადოს ქართველი ხალხის ის მრავალსაუკუნოვანი გმირული ბრძოლა, რომელსაც იგი ეწეოდა დამპყრობლების წინააღმდეგ. სამამულო ომის პირობებში განსაკუთრებით დიდია ისტორიული მეცნიერების როლი. უკანასკნელ ხანებში დაიწერა მთელი რიგი მნიშვნელოვანი შრომები და გამოკვლევები, რომლებიც ჩვენი დიდი წინაპრების სახელოვან ბრძოლას და მამაცობას ავლენენ. ამ პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს ქართული ისტორიული მეცნიერების ისეთი ბრწყინვალე გამარჯვება, როგორიცაა აკად. ივ. ჯავახიშვილის, პროფ. ნ. ბერძენიშვილის და აკად. ს. ჯანაშიას წიგნი „საქართველოს ისტორია უძველეს დროიდან XIX საუკუნის დამდეგამდე“.

მაგრამ ზოგიერთი ისტორიკოსი ერთგვარ უპასუხისმგებლობას და ინდიფერენტულ დამოკიდებულებას იჩენს ისტორიული ფაქტების სწორად გადმოცემისადმი.

ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის „შრომებში“ (ტ. IV) მოთავსებულია პროფ. ს. კაკაბაძის წერილი „დავით აღმაშენებლის ორი დიდი ომი“. წერილი ყურადღებას იქცევს არა იმდენად ისტორიული მასალებით, რამდენადაც უმართებულო დასკვნებით, რაც ზოგჯერ ისტორიული ფაქტების სრულ ფალსიფიკაციამდე მიდის. ავტორი მიზნად ისახავს დაგვასურათოს დავით აღმაშენებლის მიერ წარმოებული ორი დიდი ომი—ერთი 1103 წლისა, ერწუხის ომის სახელწოდებით ცნობილი, და მეორე—1121 წლისა, დიდგორის ომის სახელით შესული ისტორიაში. ავტორი ეყრდნობა ქართველი, სომეხი და უცხოთის მემატიანეების აზრებს, (უცხოელ მემატიანეებს, მაგალითად გოტიეს, იგი რატომღაც განსაკუთრებული სიმპატიით ეკიდება, მათ საეჭვო დებულებებს, დაუსაბუთებელ ცნობებს უკრიტიკოდ ღებულობს), ცდილობს გადმოგვცეს თითოეული ამ ომის სურათი. მათი ისტორიული მნიშვნელობა, დაგვიხასიათოს დავითის ბრწყინვალე სტრატეგიული ნიჭი, მისი მამაცობა და გმირობა მტერთან ბრძოლაში, მისი როლი საქართველოს გაერთიანების საქმეში, ჯარის გაწვრთნილობა და ტექნიკური შეიარაღება, ერთი სიტყვით, ყოველმხრივ ასახოს ღვაწლი აღმაშენებლის მიერ წარმოებული ამ ორი დიდი ომის სურათი, მაგრამ, როგორც ვთქვით, წერილში არის ყოველად უმართებული და მიუღებელი დებულებები.

ავტორი ამტკიცებს, რომ დიდგორის ომში 1121 წელს თურქების მხრივ მონაწილეობას იღებდა სულ მცირე ანგარიშით 150 ათასი კაცი, ხოლო უფრო გაზვიადებული ცნობით, 600 ათასი კაცი, ავტორს მოჰყავს ისტორიკოს მამეი ედესელის ცნობები ომის შესახებ, რომ დავითს ამ ომში ჰყავდა 41.000 კაცი საკუთარივ ქართველები, 15.000—ყივჩაღი, 5.000 ოსი და 100 ფრანკი „ე. ი. ევროპელი (იგულისხმებიან ევროპელი რაინდები, რომელნიც ამგვარად დავითის სამსახურში ყოფილან) (გვ. 214). პროფ. ს. კაკაბაძე მეორე მხრივ ეყრდნობა ლათინური ქრონიკის ფრანგ ავტორს გოტიეს, რომელიც თავის „ანტიოქიის ომებში“ ამბობს, რომ თურქებს ჰყავდათ 600.000 მეომარი, ხოლო დავითს არა უმეტეს 80.000-ისა. მიუხედავად მოწინააღმდეგის ძალების უდიდესი სიჭარბისა, დავითმა ომი მაინც მოიგო და ბრძოლის ველზე 400.000 კაცი გაუწყვიტა მტერს, ისე, რომ თურქების თვით მეთაურიც თავში დაიჭრა და „ის გადაარჩინა საფრთხეს ბრძოლის ველზე არაბების მფლობელმა დებისმა“ (გვ. 215). 90.000 კაცით 600.000-ის წინააღმდეგ დავითმა ასეთი სამარცხვინო დამარცხება აგვეა მტერს.

მართალია, ისტორიულ მეცნიერებაში ზუსტად დადგენილი არ არის ამ ბრძოლაში მონაწილე ჯარების რიცხვი, მაგრამ ყველა ცნობაში ერთნაირად სჩანს, რომ დავითმა უმცირესი ძალებით გაიმარჯვა ბევრად უფრო ძლიერ მტერზე.

პროფ. ს. კაკაბაძე იხსენიებს ამ ფაქტს, როგორც დავითის უდიდეს გამარჯვებას, მაგრამ ავტორი შემდეგ ისე ანვითარებს თავის დებულებებს, რომ სრულიად საწინააღმდეგო დასკვნამდე მიდის. მისი აზრით გამოდის, თითქოს დიდგორის ომში თურქების დამარცხება პირველყოვლისა არა დავით აღმაშენებლის ბრწყინვალე სტრატეგიული ნიჭით და ქართველი მეომრების გმირობით აიხსნება, არამედ „ორასი ფრანკის“ შემართებით. პროფესორს ჰოქუყავს გოტიეს ცნობები და სწერს: „გოტიეს ამ მეტად საყურადღებო(!) ცნობაში განსაკუთრებით ყურადღებას იპყრობს ის ადგილი, სადაც ავტორი ამბობს, რომ ომის ბედი ორასმა ფრანკმა (ევროპელმა) გადასწყვიტაო. ეჭვს გარეშეა, აქ იგულისხმებიან ევროპელი რაინდები, რომელნიც დავითის სამსახურში იმყოფებოდნენ და რომელნიც მოქმედებდნენ ქართველ რაინდებთან ერთად, რომელთა რიცხვი რამდენიმე ასი და შესაძლებელია ერთი ორი ათასი უნდა ყოფილიყო“. (გვ. 217). ავტორს ასეთი ყოვლად უმართებულო დასკვნა გამოჰყავს: ოთხმოცი ათასი ქართველი მეომრის ბრძოლის ბედი ექვსასი ათასი თურქის წინააღმდეგ გადასწყვიტა „ორასმა ფრანკმაო“. ამ დებულებაში შემდეგ ალბათ ეპარება ეჭვი თვით ავტორს და უხერხულობისაგან თავის დაღწევის მიზნით სწერს: „...მაგრამ მარტო ეს რასაკვირველია არ კმაროდა. საჭირო იყო აგთანადო მხედართმძღვანობაც. მართლაც ქართველი მემატიანე განსაკუთრებით ქებით ახსენებს დავითის მიერ დიდგორის ომში მხედართმძღვანობას“. ეს არის და ეს. მთელს წერილში თითქმის არა სჩანს და არ არის აღწერილი ქართველი მეომრების ვაჟკაცობა, გმირობა, მამაცობა, სამშობლოსადმი მხურვალე სიყვარული, რაც დავითის ბრწყინვალე სამხედრო ნიჭით იყო შთაგონებული და დიდგორის ომში გამარჯვების ძირითად პირობას წარმოადგენდა. პროფ. კაკაბაძე დიდგორის ომში გამარჯვებას მიაწერს მარტოოდენ „ორასი ფრანკის“ ტექნიკურ შეიარაღებას და რაინდულ მამაცობას. კიდევ კარგი, რომ მას დავით აღმაშენებლის მხედართმძღვანობა მაინც გაახსენდა.

შენიშვნისათვის უნდა ითქვას, რომ ავტორის მიერ ციტირებულ გოტიეს ცნობაში მაინც რა სჩანს, თითქოს ფრანკების გადაწყვიტოთ დიდგორის ომის ბედი. პროფ. კაკაბაძე კი იმდენად გატაცებულია ფრანკების რაინდობით, რომ მაინც ამ ფრანკებს მიაწერს დიდგორის ომის ბედის გადაწყვეტას:

რა არის ეს, თუ არა ისტორიული ფაქტების უხეში ფალსიფიკაცია?

ვ. კრავეიშვილი

ომიანობის დროის ორი ზაფხული იმუშავეს მეურნეობებისა და კოლმეურნეობების ახობით ტონა ბოსტნეულის დათესვასა, მოსავლიანობა. ზინა ადეევა, მარუსია გნედენკო

სურათზე: პრიმორიეს რაიონის 47-ე ლენინგრადელმა მოსწავლეებმა საბეთა

ლებიც დაჯილდოებული არიან მედლებით მარჯვნივ) — ლიდა ჟიტკოვა, გალია

სკოლის მე-4 კლასის ფრიადოსნები, რომ

„ლენინგრადის დაცვისათვის“ (მარცხნიდან

Пეტროვა, ზინა ადეევა, მარუსია გნედენკო

და ვერა რომანიკი. ფოტო გ. კონოვალოვისა (საკ.ესის ფოტოქრონიკა).

ლეპეშეგი

საომარი მოქმედება იფაღიიაში

ლონდონი, 22 დეკემბერი (აკადესი). როგორც ოფიციალურად იუწყებიან, ინგლისის მერვე არმიის ფრონტზე გრძელდება ინტენსიური ბრძოლები. მოკავშირეთა ჯარებმა წინ წაიწიეს. ბრძოლები სწარმოებს ირტონის ტყეში. ამერიკის მეხუთე არმიის ფრონტზე, მიუხედავად მტრის შეუპოვარი წინააღმდეგობისა, დაკავებულია რამდენიმე მაღლობი და წამოყვანილია ტყვეები.

19 დეკემბერს ინგლისის კატერებმა იუგოსლავიის სანაპიროსთან ხელთ იგდეს ვერმახელთა ორი იალქნიანი ნავი და ტკვედ წამოიყვანეს მათი ეკიპაჟები.

მოკავშირეთა ავიაცია მოქმედებდა ველების თავზე, რომის რაიონში და იუგოსლავიის სანაპიროსთან.

გადაგრიალება ბოლივიაში

ლონდონი, 20 დეკემბერი (საკ.ესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, ხუთმა შეიარაღებულმა კაცმა 19 დეკემბერს დააპატიმა ბოლივიის პრეზიდენტი ჰენაროანდა, კაბინეტის ორი წევრი და არმიის მთელი რიგი ოფიცრები.

მეორე ცნობაში აღნიშნულია, რომ გადატრიალების ხელმძღვანელია პას ესტონსორო (ყოფილი ფინანსთა მინისტრი).

გადატრიალების მონაწილეებმა შეადგინეს ახალი მთავრობა, რომელის მეთაურიც არის მაიორი ჰალბერტო ვილიაროელი.

ახალმა მთავრობამ გამოაქვეყნა მანიფესტი, რომელშიც აღნიშნულია, რომ გადატრიალება დემოკრატიულია თავისი მიზნებით.

ბრაზ-ვიგოს წარმომადგენელთა მოლაპარაკება იუგოსლავიის მთავრობასთან კაიროში

ლონდონი, 20 დეკემბერი (საკ.ესი). რეიტერის სააგენტო იუწყება:

„დღეს საღამოს კაიროში ოფიციალურად გამოცხადდა, რომ ტატოს დელეგაცია იმყოფება კაიროში“ და მოლაპარაკებას აწარმოებს მოკავშირეებთან და იუგოსლავიის მეფის მთავრობასთან“.

ლონდონი, 21 დეკემბერი (საკ.ესი). რეიტერის სააგენტო კაიროდან გადმოგვცემს, რომ იქ გამოქვეყნებულია შემდეგი ოფიციალური დეკლარაცია:

„ამას წინათ ალექსანდრიაში შეხვდა მოლაპარაკება იუგოსლავიის პარტიზანული ძალების წარმომადგენლებისა და ბრიტანეთის მებრძოლი ძალების წარმომადგენლებისა. ეს მოლაპარაკება, რომელიც სწარმოებდა წმინდა სამხედრო საფუძველზე, დაკავშირებული იყო მისი უდიდებულესობის მთავრობის პოლიტიკის განხორციელებასთან, პოლიტიკისა, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ ყოველგვარი სამხედრო დახმარება გაეწიოს ყველა ძალიბს, რომლებიც მტერს წინააღმდეგობას უწევენ იუგოსლავიაში. შეერთებული შტატებ-ს შეიარაღებულ ძალთა წარმომადგენლები მონაწილეობას იღებდნენ ამ მოლაპარაკებაში, რომელიც დამთავრდა სრული შეთანხმებით აღნიშნული პოლიტიკის განხორციელების დეტალების საკითხზე“.

ღიკველთა მიგზინგი ნიუ-იორკში

ნიუ-იორკი, 20 დეკემბერი (საკ.ესი). ლიტველთა დემოკრატიული ორგანიზაციების ნაციონალურმა საბჭომ მოიწვია მიტინგი, რასაც დაესწრო 800 დელეგატი-ლიტველი, რომელნიც წარმოადგენენ ლიტველთა 180 კულტურულ და სხვა ორგანიზაციას. ეს უკანასკნელნი კი 75 ათას წევრს აერთიანებენ. დელეგატებმა გამოიტანეს რეზოლუცია მოსკოვის, კიროოს და თეირანის კონფერენციების გადაწყვეტილებათათვის სრული მხარდაჭერის შესახებ.

მიტინგის მონაწილეებმა გაუგზავნეს ჰელსინკიელ ფინელ ფაშისტთა და ჰიობებში ნადირივით დახეტიალობდნენ,—ჩვენს შორეულ მამებს კულტურული კაცობრიობის გონებრივ სამკვიდრებელში ედოთ წილი და ხეატვრული შემოქმედების შედევრებს ჰქმნიდნენ.

ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიის განყოფილება (გამგე დოკ. შ. რადიანი) ძირითადად ამზადებს ცალკეულ გამოკვლევებსა და მონოგრაფიებს, რომლებიც ეძსახურება მთლიანი ლიტერატურულ-ისტორიული პროცესის მეცნიერულ დამუშავებას, მე-19 საუკუნის ლიტერატურის ისტორიის სახელმძღვანელოს შექმნას. ამჟამად სწარმოებს მუშაობა ქართული რომანტიზმის ლიტერატურული მემკვიდრეობის შესასწავლად (ალ. ბაჟენაძე, ნ. ბარათაშვილი, გრ. ორბელიანი) ორი ხაზით (ბიოგრაფია და შემოქმედების ლიტერატურული ანალიზი).

განყოფილებაში მომდინარეობს აგრეთვე მუშაობა სხვა ქართველი კლასიკოსების ღრმად შესწავლისათვის (ვაჟა-ფშაველა და სხვ.). მუშავდება მე-19 საუკუნის ქართული აზროვნების ისტორიის აქტუალური პრობლემები.

ფოლკლორული განყოფილება (გამგე — პროფ. კ. დონდუა) ორი მიმართულებით აწარმოებს მუშაობას. ჰკრებს ქართული მეიდარი ხალხური შემოქმედების ნიმუშებს, აწარმოებს მას ფილოლოგიური წესით და კვლავ ხალხს უბრუნებს სხვადასხვა გამოკვლევების სახით. ჩაწერილია და ტრობაში მოყვანილია 38.000 ტექსტი. ამჟამად რუსთაველის ინსტიტუტის არქივი ყველაზე მდიდარი ფოლკლორული არქივია საქართველოში. განყოფილებას გამოცემული აქვს „ქართული ფოლკლორის“ სერიის ხუთი შრომა, და ერთი წიგნაკი „წითელი არმიის ბიბლიოთეკის“ სერიიდან. ფოლკლორიული განყოფილების საბოლოო კვლევა-ძიებას დიდად უწყობს ხელს ფოლკლორისტიკის ისტორიოგრაფიასა და ბიბლიოგრაფიაზე სისტემატური მუშაობა. განყოფილებას ცოცხალი კავშირი აქვს ჩვენს სამხარეთმცოდნეო მუზეუმებთან.

განყოფილებათა შრომები იკითხება კვირაში ერთხელ ინსტიტუტის საერთო კრებაზე. ინსტიტუტის თანამშრომელთა გამოკვლევების უმეტესი ნაწილი იბეჭდება საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის „მოამბეში“ და რუსთაველის ინსტიტუტის საკუთარ ორგანოში „ლიტერატურული ძიებანი“, რომლის პირველი ტომი უახლოეს ხანში გამოქვეყნდება.

რუსთაველის ინსტიტუტი მნიშვნელოვან სამეცნიერო-საკვლევო დაწესებულებად გადაიქცა.

25-27 დეკემბერს რუსთაველის სახელობის ინსტიტუტი მომდინარე წლის მიღწევებთან წარსდგება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების XIV სამეცნიერო სესიაზე.

აღფრთოვანებულნი ამ მაღალი შეფასებით, რომელიც საბჭოთა ინტელიგენციას მისცა დიდმა სტალინმა, რუსთაველის ინსტიტუტის მეცნიერი მოშაკები მთელ თავის შემოქმედებითს ენერგიას მიმართავენ იმისაკენ, რათა კიდევ უფრო ღრმად შეისწავლონ პრაქალსაუკუნოვანი ქართული ლიტერატურა, ნათელყონ მისი როლი ჩვენი ხალხის სახელმწიფოებრიობისა და კულტურის განვითარებაში და გამომაჟღავნონ მისი სახალხო-პატრიოტული ხასიათი. ყოველივე ეს ხელს უწყობს ჩვენი ძალების პატრიოტული სულისკვეთების კიდევ უფრო გაძლიერებას კაცობრიობის უბოროტესი მტრების — გერმანელი ფაშისტი ბარბაროსების წინააღმდეგ ბრძოლაში.

დოც. ზ. აბზიანიძე

საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის სწავლული მდივანი.

ზოგ.კავშირეთა ავიაციის ზოგ.ქმედება. სურათზე: ევროპაში მტრის ობიექტების დასაბომბავად გაფრენის წინ ინგლისის ბომბდამშენთან მიაქვთ ზემძიმე, ოთხტონიანი ბომბი.

საბჭოთა საქართველოდან

საქართველოს სსრ-მეცნიერებათა აკადემიაში

25 დეკემბერს გაიხსნება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების XIV სამეცნიერო სესია, რომელზეც მოხსენებებით გამოვლენ რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომლები.

სესიის პირველ დღეს, 25 დეკემბერს, მოხსენებებით გამოვლენ: აკად. კ. კეკელიძე („საბილა და მისი „წიგნები“ ძველ ქართულ ლიტერატურაში“), ს. ჯილაია („გრ. ორბელიანის ნ. ბარათაშვილის ლიტერატურული ურთიერთობისათვის“), გ. აბზიანიძე („ერთი ფურცელი XIX საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან“) და ქს. სახარულიძე („ვეხტანგ გორგასალი ხალხურ შემოქმედებაში“).

27 დეკემბერს სესია მოხსენებებს ორ მოხსენებას: აკად. ა. შანიძე — „ზმნათა ოთხმოქმედი გვარი“ და „მავლობის საკითხისათვის“ და პროფ. ა. ბარამიძე—„ქების საგანი „აბდულ-მესიანში“.

სესიის საბოლოო სხდომაზე, 28 დეკემბერს, მოხსენებებით გამოვლენ მ. ჩიქოვანი („აშირანიანის“ პერსონაჟები), გრ. კიკნაძე („ვეფა-ფშაველას მსოფლმხედველობისათვის“) და ს. ყუბანეიშვილი („ახლადაღმოჩენილი დოკუმენტები „ვეფხის-ტყაოსნის“ გამოცემათა აკრძალვის შესახებ XIX საუკუნეში“).

სხდომები ჩატარდება მეცნიერებათა აკადემიის სხდომათა დარბაზში (ძერჟინსკის ქ. № 8).

დასაწყისი დილის 11 საათზე.

დასწრება თავისუფალია.

განთავისუფლებული რაიონების მოსწავლეთა დასახმარებლად

ხაშური, 18 დეკემბერი. ხაშურის რაიონის სკოლების მოწაფეებმა დაიწყეს წიგნების, სახელმძღვანელოების, რვეულების, ფანქრების, ფანქრებისა და სხვა სასკოლო და სასწავლო ნივთების შეგროვება გერმანელი ფაშისტი დამპყრობლებისაგან განთავისუფლებული რაიონების სკოლებისათვის. სოფელ ქვიშხეთის მოწაფეებმა შეაგროვეს 450 რვეული, 900-ზე მეტი ფანქარი, 218 კალმისტარი და კალამი. განთავისუფლებული რაიონების სკოლების მოსწავლეთათვის სასკოლო ნივთების შეგროვებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს ოსიაურის, ალისა და სხვა სოფლების მოწაფეებმა.

ხაშურის რაიონის მოწაფეებმა სულ შეაგროვეს 4.630 რვეული, 3.740 ფანქარი, დიდძალი კალმისტარი, კალამი, საშლელი, სხვადასხვა სასწავლო ინვენტარი და ლიტერატურა. (საქდესი).

მოსწავლეთა საზამთრო არდადეგები

მომდინარე სასწავლო წლის საზამთრო არდადეგები დაწყებითს, არასრულ საშუალო და საშუალო სკოლების პირველ, მეორე, მეოთხე და მეოთხე კლასებში დაიწყება 31 დეკემბერს. ეს კლასები სწავლას დამთავრების შემდეგ და გაგრძელდა 10 იანვრამდე. ეს კლასები სწავლას დაიწყებენ 11 იანვარს. არასრული საშუალო და საშუალო სკოლების 5-10 კლასებში და პედაგოგიური სასწავლებლების 1-3 კლასებში არდადეგები დაიწყება 31 დეკემბერს სწავლის დამთავრების შემდეგ და გასტანს 6 იანვრამდე. ეს კლასები სწავლას დაიწყებენ 7 იანვარს.

პიონერთა სასახლე ემზადება არდადეგებისათვის

პიონერთა სასახლე ემზადება სახალწლო არდადეგებისთვის. მხატვრულად გაფორმდება სარკეებიანი დარბაზი და ოთახები, სადაც მოეწყობა საახალწლო ნაძვის ხეები.

თეატრალური, ქორეოგრაფიული, სიმფონიური, მხატვრული კითხვის წრეები, მეფანდურეთა და მეჩონგურეთა ანსამბლი გამართავენ კონცერტებს. თოჯინების თეატრი აჩვენებს „ნაცარქექიას“ ახალ დადგმას.

პიონერთა სასახლეში ათითასი მოწაფე დაესწრება არდადეგების დღეებში საახალწლო ნაძვის ხეს. დამსწრეთ მიეცემა საჩუქრები.

ამას გარდა პიონერთა სასახლე არდადეგების დღეებში მოაწყობს სამხედრო თამაშს და მეთხილამურეთა ლაშქრობას ბაკურიანსა და კოჯორში. ბავშვთათვის მოეწყობა საუბრები საქართველოს გმირული ისტორიის შესახებ, გაართობი გეოგრაფიის დილა, შეხვედრა სამამულო ომის გმირებთან, პოეტ ი. გრიშაშვილთან.

საზამთრო არდადეგების ჩასატარებლად დაწყებითი და საშუალო სკოლების მუშაკთა კავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა გამოჰყო 80.000 მანეთი.

განთავისუფლებული რაიონების ბავშვთათვის უკვე გაიგზავნა 1.000-ზე მეტი სათამაშო და საბავშვო მხატვრული ლიტერატურის 500 წიგნი.

მევაგონეთა ნარმაგება

20 დეკემბერს სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის სამგზავრო ვაგონების საამქროს კოლექტივმა შეასრულა საერთაშორისო ვაგონთა რემონტის წლიური გეგმა; ამასთან მნიშვნელოვანი გადამეტებით გაანალდა დავალება.

უპატაჟო რა სახალხო კომისარს წლიური დავალების ვადამდე შესრულების შესახებ, საამქროს კოლექტივმა აკისრა ვალდებულება წლის ბოლომდე გეგმის გადამეტებით გამოუშვას რემონტდან კიდევ ორი ვაგონი (საქდესი).

„ქართული გრამატიკის საფუძვლები“

გამოვიდა აკად. აკ. შანიძის ნაშრომის „ქართული გრამატიკის საფუძვლების“ მეორე ნაკვეთი. ამ ნაკვეთით დასრულებულია ქართული ზმნის კატეგორიების შიმოხილვა, რაც ავტორის მიერ განხორციელებული წიგნის ცენტრალურსა და ყველაზე ორიგინალურ ნაწილს შეადგენს. მეორე ნაკვეთში განხილულია შემდეგი კატეგორიები: გვარი, სტატუსი, ქცევა, კონტაქტი და სიტუაცია. ამ კატეგორიებიდან წინანდელი მკვლევარების ნაშრომებიდან ცნობილია მხოლოდ გვარი, თუმცა მის გაგებაშიც აკად. ა. შანიძეს ბევრი რამ ახალი აქვს შეტანილი. დანარჩენი კატეგორიების დადგენა კი თვით ამ წიგნის ავტორს ეკუთვნის. ამ მხრივ აკად. ა. შანიძის წიგნი დიდ ინტერესს წარმოადგენს.

წიგნი, რომლის რედაქტორია დოც. ილია აბულაძე, შეიცავს 367 გვერდს და ღირს 15 მან.

მოსწავლეთა სამხედრო-ფიზკულტურული შეჯიბრება

ბორჯომი, 20 დეკემბერი. დამთავრდა ბორჯომის რაიონის მოსწავლეთა რაიონული სამხედრო-ფიზკულტურული შეჯიბრება. მოსწავლეები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ დაბრკოლებათა გადალახვაში და გრანატების ტყორცნაში, ხელჩართულ ბრძოლაში და სასროლო მომზადებაში. საუკეთესო მაჩვენებლების მიღწევისათვის ბორჯომის პირველ ქართულ საშუალო სკოლას მიეკუთვნა გარდამავალი წითელი დროშა. კარგ შედეგებს მიაღწიეს აგრეთვე წყალტუბოს, ტაძრისისა და ბორჯომის **რუსულმა საშუალო სკოლებმა** (საქდესი).

საახალწლო ნაძვის ხეები

თბილისში საახალწლო ნაძვის ხეების მოსაწყობად საქართველოს სსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატმა გამოჰყო 20 ტონა მანდარინი, 12 ტონა ვაშლი და 2 ტონა კანფეტი. ნაძვის ხეზე მოწვეული თითოეული ბავშვი მიიღებს სადღესასწაულო საჩუქრებს—მანდარინით, ვაშლითა და კანფეტით სავსე პარკებს. საახალწლო ნაძვის ხე აეწყობა ყოველდღე საზამთრო არდადეგების ათივე დღის განმავლობაში. ნაძვის ხეები აეწყობა მოზარდ მაყურებელთა ქართულ, რუსულ და სომხურ თეატრებში, პიონერთა სასახლეში, სომხური დრამის თეატრში, შინსახკომის კლუბში და პლატანოვის სახელობის კლუბში, მრავალი საწარმოსა და დაწესებულების კლუბებში, ქალაქის ყველა საბავშვო ბაღში. (საქდესი).

თეატრებში

24 დეკემბერს: **სახალეარა** — „რიგოლეტო“. **რუსთაველი** — „ოლეკო დუნდიჩი“. **მარჯანიშვილის**—„მეფე ლირი“. **გრიბოედოვის** — „ლიონუშკა“. **სომხური**—„ვანუშინის ოჯახი“. **ახუნდოვის** — „ვიაფა“. **მუსკომედიის** — „ოქროს გასაღები“. **მოზარდი მაყურებლის**—„ქართული—„შეხვედრა“.

კინოებში

24 დეკემბერს: რუსთაველი — „მელოდეა“. **ოქტომბერი**—„გიორგი საკაძე“—მე-2 სერია **დამკვრელი**—„3 მუშკეტერი“. **კომკავშირელი**—„ორი მებრძოლი“. **ლუნაჩარსკის სახ.** და **სპარტაკი**—„შვეიკის ახალი თავგადასავალი“. **26 კომ. სახ.**—„ორი მეომარი“.

შეჯიბრება ტანვარჯიშში საქართველოს **პირველობაზე** შესდგება **25-26 დეკემბერს „დინამოს“ სპორტდარბაზში,** ხოლო 27 დეკემბერს რუსთაველის სახელობის თეატრში.

მონაწილეობენ: **სსრ** კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატები ორდენოსანი **გ. რცხილაძე,** ორდენოსანი **ა. ჯორჯაძე, მ. კახიანიკ.**

სპორტის ოსტატები: **ნ. თაყაიშვილი, ნ. დოლიძე, დ. ახვლედიანი, გ. ჭილაია, ა. ალფაიძე, თ. ქოიავა, რ. კოგანი-ზალიშვილი, ო. მიქელაძე, ო. კლიმუკი, ე. გავრილოვა, თ. კობოსნიძე** და სხვ.

შეჯიბრების დასაწყისი სალ. 7 საათზე.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲝᲚᲥᲛᲐᲨᲠᲘᲡᲝ ᲛᲘᲚᲘᲪᲘᲘᲡ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲛᲔᲗᲐᲗᲐᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲘᲗᲐ ᲨᲔᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲝᲑᲐ ᲘᲣᲬᲧᲔᲑᲘᲐᲜ ᲔᲚᲘᲛᲘᲡ ᲛᲐᲛᲘᲡ **ᲮᲘᲚᲘᲐᲜᲘᲢᲘᲡ-ᲪᲘᲪᲘᲜᲐᲢᲘᲡ** ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲣᲚᲘ ᲤᲐᲡᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ **ᲒᲘᲠᲘᲜᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲛᲐᲛᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲠᲐᲝᲜᲘᲡ ᲡᲙᲝᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ.**

ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔᲗᲐ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲗᲐ ᲓᲐᲡᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲚᲐᲓ

24 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. სტალინის რაიკომის პარტკაბინეტში შესდგება ამხ. **ამატუნის** ლექცია. **რუსულ** ენაზე. თემა: **„ბოლშევიკების პარტიის ბრძოლა სტალინური ხუთწლედების წლებში სსრ კავშირის თავდაცვითი ძლიერების განმტკიცებისათვის.“**

25 დეკემბერს, საღამოს 8 საათზე, საქ. კ. პ (ბ) თბილისის ორგ. ორჯონიკიძის რაიკომის პარტკაბინეტში (ლენინის ქ. № 11) შესდგება ამხ. **გოგუაძის** ლექცია თემაზე: **„ანტიბატლერული კოალიციის განმტკიცება, ფაშისტური ბლოკის რღვევა“.**

შესვლა თავისუფალია.

პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილე ზ. ჯიბლაძე

ᲚᲔᲥᲪᲘᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲝᲮᲡᲔᲜᲘᲔᲑᲘ

24 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. სტალინის რაიკომის პარტკაბინეტში შესდგება ამხ. **ამატუნის** ლექცია. **რუსულ** ენაზე. თემა: **„ბოლშევიკების პარტიის ბრძოლა სტალინური ხუთწლედების წლებში სსრ კავშირის თავდაცვითი ძლიერების განმტკიცებისათვის.“**

25 დეკემბერს, საღამოს 8 საათზე, საქ. კ. პ (ბ) თბილისის ორგ. ორჯონიკიძის რაიკომის პარტკაბინეტში (ლენინის ქ. № 11) შესდგება ამხ. **გოგუაძის** ლექცია. **ინგლისურ** ენაზე. **ინტერნაციონალური კოალიციის განმტკიცება, ფაშისტური ბლოკის რღვევა“.**

ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲔᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲘ Ზ. ᲯᲘᲑᲚᲐᲫᲔ

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ № 28. ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ: ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲔᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘᲡ—3-62-26, ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲔᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲘᲡ—3-63-03, ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲔᲚᲘ ᲛᲓᲘᲕᲜᲘᲡ—3-08-67, ᲡᲐᲛᲓᲘᲕᲜᲝᲡᲘᲡ—3-06-88; ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡ: ᲞᲐᲠᲢᲘᲝᲢᲘᲡ ᲓᲐ ᲞᲠᲝᲞᲐᲒᲐᲜᲓᲘᲡ—3-81-84, ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ-ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲠᲔᲕᲚᲝ-ᲡᲐᲢᲠᲐ ᲜᲐᲞᲘᲠᲝᲗ—3-80-83, ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ, ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ-ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲘᲡ, ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡ ᲓᲐ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ—3-80-84, ᲬᲘᲠᲘᲚᲔᲑᲘᲡ—3-73-24, ᲛᲝᲠᲘᲒᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲛᲨᲕᲔᲑᲘᲡ — 2-81-65, ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲚᲝᲑᲘᲡ — 3-51-81, ᲡᲢᲐᲛᲑᲘᲡ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘᲡ — 3-77-70.

Ს. Ა. ᲑᲔᲠᲘᲐᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲒᲠᲐᲤᲘᲣᲚᲘ ᲙᲝᲛᲑᲘᲜᲐᲢᲘ „ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ“, ᲗᲑᲘᲚᲘᲡ